# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 8 სექტემბერი, 2012 წელი.

№172 (7048)



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

# „დარწმუნდნენ, რომ სააკაშვილი ცრუობს“



8

ჯონ მაკკეინმა თბილისში ქართული ოპოზიციის ლიდერების დათვალიერება მოაწყო

# საარჩევნო რეკლამა და „ნუპაკი მამაძაღლები“



5

# სოფლად რომ შემოგვრჩეს სოფელი

9



# მიწიერი ჯოჯოხეთის ურჩხულები

6

## 1. კალიგულა

### შეაყარე კედელს ცერცვი!

# მისტერ ლუის, ხმების წონაა მთავარი და არა რაოდენობა...

**მაშ ასე, მოძალადე, მატყუარა და არაადეკვატური ნაცების ბელადის დავალებით კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა 31 ივლისიდან 12 აგვისტოს ჩათვლით, საქართველოს მასშტაბით, 2038 პიროვნება გამოკითხა და ნაცმოძრაობისთვის ასეთი საზეიმო-სასიხარულო დასკვნა დადო:**

**დღეს რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას?**

**— ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ხმას „აძლევს“ 37 პროცენტი, ადრინდელ გამოკითხვასთან შედარებით 1 პროცენტით მეტი!.. (როგორც ჩანს, მარტო ცხოვრებამოყირჟებულ ნაცებს ეკითხებიან!)**

**— „ქართულ ოცნებას“ — 12 პროცენტი, ადრინდელი 18 პროცენტის სანაცვლოდ;**

**— „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას — 3 პროცენტი. წინა გამოკითხვაც იგივე იყო.**

დანარჩენი პარტიები ვითომცდა არა ყოფილან, მოსახლეობა დუმს!

ახლა დავუკვირდეთ მთავარს: გამოკითხულთა (არადა 2038 კაცი ისედაც ძალიან ცოტაა!ძ, 22-მა პროცენტმა „არ იცის“, ვის აძლევს ხმას, პასუხზე კი საერთოდ უარს ამბობს 16 პროცენტი.

ვითომ დემოკრატობანას თამაშობს NDAI-ის თბილისის ოფისის ხელმძღვანელი **ლუის ნავარო** და აღიარებს, **„არ ვიცის“** კატეგორია ძალიან მაღალიაო!, ეს კი, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობაში არ იცნობენ ამა თუ იმ პარტიის და მათი ლიდერების საქმიანობასო!

არა და არა, მისტერ ლუის ნავარო! ჩვენმა მოსახლეობამ ყველაფერი იცის და ნაცების დაკვეთით ჩატარებული გამოკითხვა ისეთივე ფარსია, როგორიც მიხეილ სააკაშვილის დემოკრატია, პირადად თქვენი „დიპლომატიური გამომეტყველება“, — აშკარად რომ ვნებს ამერიკელი და ქართველი ხალხების სტრატეგიულ თანამშრომლობას.



მართალია, ამ გამოკითხვა-გაყალბების, ნაცების სასარგებლოდ გაზვიადებული პროცენტების „დადებაში“ თქვენ მიშას ლობისტობას „გაბრალებენ“, მაგრამ... ნუთუ ვერ ხვდებით, რომ თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოში გამჭრიახი და მიუკერძოებელი „არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების“ (SIC!ძ წარმომადგენლები ასე გამომწვევად არ იქცევიან და უძველესი კულტურის მქონე ქვეყნებში ძირძველ მოსახლეობას ნერვებს არ უშლიან!

**უმორჩილესად გთხოვთ, „სანთელივით პატიოსანო“ და ქართველი ხალხის დიდო „მეგობარო“ ლუის ნავარო, დაანებეთ თავი „წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე“** (ერთი გამაგებინა, ვინ არჩევს ამ „წარმომადგენლობას“, ვინ ეკითხება ვის, ნაცების გარდა, ვინმე სანდო და სამართლიანი თუ მონაწილეობს მასში?ძ ამ სამარცხვინო რეიტინგების შეთხზვას და... წინასაარჩევნოდ ყური მიუგდეთ ქართველი ხალხის ხმას, რომელიც დაახლოებით ასე გამოიხატება: **ნაცების ძალადობით დაშინებული მოსახლეობის (დაახლოებით 15-20 პროცენტი) გარდა, „ქართულ ოცნებას“ და მის ლიდერს მხარს უჭერს საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა.** სხვაობა ამის შემდეგ გამოთვალეთ!

იმასაც შეგახსენებთ, მისტერ ლუის, რომ საქართველო ერთ-ერთი ის ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც გონიერი და სამართლიანი მოსახლეობა ყალბი, ნაყიდი რეიტინგების პროცენტებს კი არ ითვლის, არამედ — თითოეულ ხმას წონის!..

**სპარტაკ ქობულია**

## განცხადება

# „ქომაგი“ კატეგორიულად უარყოფს

მოგახსენებთ, რომ 2012 წლის 6 სექტემბერს, ხელისუფლების მხრიდან დაიწყო მომდევნო ტალღა „ფონდი ქომაგის“ ბენეფიციართა ანგარიშების დაყადაღებისა და დაბარება-დაკითხვისა. გუშინ, დღის მეორე ნახევარში, თითქმის ერთიდაიმავე დროს განხორციელდა სატელეფონო დაკავშრება მოქალაქეებთან. მათ დაუყოვნებლივ მოთხოვეს ფინანსურ პოლიციაში დაკითხვაზე გამოცხადება და დაემუქრნენ, რომ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ძალის გამოყენებით მიიყვანდნენ მათ დასაკითხად. როგორც მათ დაკითხვის დროს გამომძიებლებმა განუცხადეს, ისინი დაბარებულნი იყვნენ მოწმის სტატუსით – უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის საქმეზე. „ფონდი ქომაგი“ კატეგორიულად უარყოფს მსგავს აბსურდულ ბრალდებებს, ვინაიდან ყველა მოქალაქის ანგარიშზე ჩარიცხული თანხის წარმომავლობა სრულიად გამჭვირვალეა.

მოგეხსენებათ, რომ ხელისუფლების მხრიდან გამუდმებით ხორციელდება „ფონდი ქომაგის“ კანონშესაბამისი საქმიანობის ხელისშემშლელი მოქმედებები, თუმცა, მიუხედავად ამისა, ორგანიზაცია ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს საქმიანობას და იყენებს ყველა კანონიერ გზას მათ დასახმარებლად. განმცხადებელთა უმეტესი ნაწილი უკვე დაკმაყოფილებულია და ეს პროცესი გრძელდება. საზღვარგარეთ “ქომაგის“ მხარდამჭერთა რიცხვი დღითი დღე იზრდება და ფონდი მთელი ევროპის მასშტაბით გასცემს რეკომენდაციებს, რათა ხელისუფლების მხრიდან უკიდურეს მდგომარეობამდე მიყვანილ, ღირსებაშელახულ მოქალაქეებს დაუდგნენ გვერდით და აიმაღლონ ხმა ამ უსამართლობის წინაღმდეგ.

„ფონდი ქომაგი“ კიდევ ერთხელ მოუწოდებს ხელისუფლებას, შეწყვიტოს კეთილი საქმის წინააღმდეგ უსამართლო ბრძოლა, ვინაიდან ქველმოქმედებას წინ ვერანაირი ძალა ვერ აღუდგება. ნებისმიერი წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაშიც ფონდი ყოველთვის უქომაგებს განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების გამო დაჩაგრულ მოქალაქეს და მიმართავს მათ თამამად შეუერთდნენ იმ მოქალაქეთა რიცხვს, რომლებმაც უკვე მიმართეს „ქომაგს“.

ფონდ „ქომაგის“ თავმჯდომარე
**ია მეტრეველი**

## კადრები

# საქართველოს ბიზნესომბუდსმენად მაია მერედოვა დაინიშნა



**პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილის ბრძანებით, პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესთან შეთანხმების საფუძველზე, საქართველოს ბიზნესომბუდსმენად მაია მერედოვა დაინიშნა.**

**საქართველოს მთავრობის ინფორმაციით, მაია მერედოვა 2006 წლიდან „პროკრედიტ ბანკ საქართველოში“ მუშაობს. 2010-2012 წლებში იყო „პროკრედიტ ბანკი საქართველოს“ გენერალური დირექტორი.**

2004-2005 წლებში იყო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კონსულტანტი ყირგიზეთის რესპუბლიკაში, ხოლო 2002-2004 წლებში მუშაობდა ვაშინგტონში, მსოფლიო ბანკის კონსულტანტად კერძო და საფინანსო სექტორის განვითარების სფეროში.

2000-2002 წლებში მაია მერედოვას დამთავრებული აქვს ჯონ ჰოპკინსის სახელობის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო ეკონომიკის მაგისტრატურა, ხოლო 1997-2000 წლებში – დიდი ბრიტანეთის დურჰემის ბიზნეს-სკოლის ბაკალავრიატი. მაია მერედოვა დაოჯახებულია და ჰყავს ერთი შვილი.

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის თანამდებობაზე მაია მერედოვამ გიორგი პერტაია შეცვალა.

## „კარდაკარის“ შემდეგ

**შესაძლებელია თუ არა, რომ საუბნო საარჩევნო სიები დაიბეჭდოს არა ანბანური თანმიმდევრობით, არამედ საცხოვრებელი მისამართების მიხედვით? ამ კითხვაზე პასუხს ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან ადამიანის უფლებების დამცველი რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ელის. ამ ორგანიზაციების თანახმად, საარჩევნო სიების საცხოვრებელი მისამართების მიხედვით შედგენა ხელს შეუწყობს ნებისმიერი მოქალაქის მიერ სიაში მყოფი ამომრჩევლის გადამოწმებას და საარჩევნო სიების მიმართ ნდობის ხარისხის ამაღლებას.**

# საარჩევნო სიები მისამართების მიხედვით?




„ადამიანის უფლებები წინასაარჩევნოდ“ – ასე ერქვა კონფერენციას, რომლის ფარგლებში გაჟღერებული ინიციატივებიდან ერთ-ერთი სწორედ საარჩევნო სიების მისამართების მიხედვით შედგენის მიზანშეწონილობას ეხებოდა. ეს ინიციატივა მოგვიანებით ოფიციალურ მიმართვად იქცა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ჩაბარდა.

„კორპუსში როცა ადამიანი ცხოვრობს, მისთვის უფრო მარტივია გადაამოწმოს მის სახლში ან მის მეზობლად არიან თუ არა მიწერილი ადამიანები, თუ როდესაც ალფაბეტის ჩამონათვალის მიხედვით არის სიაში“?

კითხულობს ინიციატივის ერთ-ერთი ავტორი, „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“ ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე, რომელიც აზუსტებს, რომ მოთხოვნა ეხება როგორც არჩევნების დღისთვის გათვალისწინებულ ეგრეთ წოდებულ სამაგიდო, ასევე საუბნო კომისიებში წინასწარ გამოკრულ ეგრეთ წოდებულ კედლის სიებს. კედლის სიები საარჩევნო უბნებში, კანონის თანახმად, არჩევნებამდე 34 დღით ადრე, 28 აგვისტოს გამოიკრა. სიების გადამოწმების პროცესში ჩართულები არიან უშუალოდ ამომრჩევლები, რომელთა შორის, თბილისის მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დავით ზირაქაშვილის დაკვირვებით, 35 წლის ზემოთ ასაკობრივი ჯგუფი აქტიურობს.

„აი, ზუსტად ახლა ვიმყოფები ერთ-ერთ უბანზე, ახლა, ამწუთას შემოვედი და ხუთი ამომრჩეველი ეძებს საკუთარ თავს სიაში და ხუთივე აღმოჩნდა სიაში. რომ გითხრათ, რომ დღეში 100 განცხადება შემოდის-მეთქი, მოგატყუებთ, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ჯერ კიდევ ბევრი დროა დარჩენილი და სიაში ცვლილებების შეტანა შეგვიძლია, შეიძლება ითქვას, რომ ამომრჩევლის აქტიურობა საშუალო დონეზეა“, ამბობს დავით ზირაქაშვილი.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი კი მიიჩნევს, რომ ამომრჩეველთა სიები საჯაროა, გადამოწმების არსებული მექანიზმი საკმარისად გამართულია და იგი დამატებით ცვლილებებს, მათ შორის, სიების მისამართების მიხედვით შედგენას აღარ საჭიროებს:

„შეგიძლიათ თქვენ ახლა შეხვიდეთ ინტერნეტში, ნახოთ თქვენი პირადი ნომრით სად ხართ რეგისტრირებული და იმ მისამართზე რეგისტრირებული ყველა ადამიანი შეგიძლიათ იქვე გამოიტანოთ. თუ ვინმე აქტიურია, შეუძლია ასე იპოვოს, აღარაფერს ვამბობ, რომ ნებისმიერს შეუძლია მოგვმართოს და მთელი სიები წაიღოს და ახლა ვიღაცას მოუნდა, რომ 3 700-ვე უბანზე ვაკრათ სიები და კანონები ვცვალოთ არჩევნებამდე 2-3 კვირით ადრე, მე მგონი, ასეთ რაღაცებზე მსჯელობა ნაკლებად ღირს“.

ზურაბ ხარატიშვილი აღნიშნავს იმასაც, რომ 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე კედლის სიები გამოკრული იყო როგორც ანბანის, ისე მისამართების მიხედვით, თუმცა, მისი დადებითი ეფექტის შესახებ ყურადღება არავის გაუმახვილებია. იმას, რომ ინიციატივა გარკვეულწილად დაგვიანებულია, აღიარებს ინიციატივის ერთ-ერთი ხელმომწერი, „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის“ ხელმძღვანელი ლია მუხაშავრია, რომელიც, მეორე მხრივ, აღნიშნავს იმასაც, რომ ადამიანის უფლებების დამცველების მიმართვას ცენტრალური საარჩევნო კომისიისადმი ბევრი მხარდამჭერი ჰყავს და ხელმოწერებიც გროვდება:

„შეიძლება ცოტა დაგვიანებულიც არის სამოქალაქო საზოგადოების რეაქცია ამგვარი საკითხების მიმართ, მაგრამ ჩვენ, უბრალოდ, ჩავთვალეთ, რომ რაც შეიძლება მოესწროს და ცესკოს აქვს ამის სრული უფლებამოსილება და კანონით მინიჭებული კომპეტენცია, ეს თხოვნა წარვუდგინეთ. თუ მეზობლების ამოცნობა და იდენტიფიკაცია გაუადვილდება ამომრჩეველს, ცხადია, ის მეტი ნდობით განეწყობა საარჩევნო პროცესის მიმართ“.

მთავარია, სია იყოს ზუსტი და საჯარო ყველა უბანზე, გვითხრა თავის მხრივ, საარჩევნო სიების დაზუსტების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარემ მამუკა კაციტაძემ, რომელიც ფიქრობს, რომ ამომრჩევლისათვის მეტი კომფორტის შექმნის მიზნით საარჩევნო ადმინისტრაცია დამატებითი შრომისა და ხარჯის გაწევას არ უნდა მოერიდოს. ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიაში მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე მეთოდით „ამომრჩევლიდან სიამდე“, პარალელური „კარდაკარითა“ და მოქალაქეების უშუალო მიმართვებით 68 500-ზე მეტი განცხადება შევიდა. 31 აგვისტოს და 1 სექტემბერს კომისიამ დამატებით მიიღო „ამომრჩეველთა ლიგისა“ და „ქართული ოცნების“ „კარდაკარის“ მონაცემები. მასალების დამუშავება და ანალიზი გრძელდება. 1 სექტემბრის მდგომარეობით, ძირითად სიაში 3 386 000- მდე ამომრჩეველია.

**ნონა მჭედლიშვილი**

## საძმო საფლავების სევდა

# აგვისტოს ომში დაკარგულ 180-ზე მეტ ადამიანს ეძებენ

**ერგნეთში 6 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა სამმხრივი შეხვედრა, რომელიც „წითელი ჯვრის“ საერთაშორისო კომიტეტის ორგანიზებით ტარდება. დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის, რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს წარმომადგენლები, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების მექანიზმის ფარგლებში, ერთმანეთში ინფორმაციას ცვლიან, ეძებენ ომის დროს დაღუპულთა საფლავებს და, ნეშტების ექსგუმაცია-იდენტიფიკაციის შემდეგ, გადასვენებას ახდენენ.** ეს მექანიზმი 2010 წლის თებერვალში შეიქმნა და 2008 წლის ომის დროს დაკარგულთა ბედის გარკვევას ცდილობს. შეხვედრა დახურული ფორმატით მიმდინარეობდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა კომენტარზე უარი თქვეს და პირად საუბარში მხოლოდ ის აღნიშნეს, რომ სამუშაო შეხვედრაზე დაკარგულთა სიების დაზუსტების პროცესი მიმდინარეობდა. შეხვედრის ბოლოს კომენტარი „წითელი ჯვრის“ საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენელმა, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების საკოორდინაციო მექანიზმის თავმჯდომარემ ასკარ უმარბეკოვმა გააკეთა. მისი განცხადებით, „წითელი ჯვარი“ არის ნეიტრალური ჰუმანიტარული ორგანიზაცია და უგზო-უკვლოდ დაკარგულებს ყველა მიმართულებით ეძებს. ერგნეთის შეხვედრაზე საუბარი მიმდინარეობდა 41 დაკარგულის შესახებ, ამ სიაში კი სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანები არიან. უმარბეკოვის თქმით, სიაში ცვლილებები ხშირად შეაქვთ, რადგან მექანიზმის შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ მათ ოფისებს დასახმარებლად არაერთი ადამიანი აკითხავს:

„დაკარგულთა რაოდენობა დღითი დღე იცვლება და უფრო მეტი ოჯახი უკავშირდება „წითელი ჯვრის“ საერთაშორისო კომიტეტს და ადგილობრივი ხელისუფლებების წარმომადგენლებს, რათა ამ ოჯახებმა დაკარგული ნათესავების შესახებ მიიღონ ინფორმაცია, თუმცა, დღეს 41 დაკარგულზე იყო საუბარი. 2012 წელს მოხდა ექსგუმაცია-იდენტიფიკაციის პროცესი და ნეშტები ოჯახებს გადაეცა.“




მექანიზმის ამოქმედების შემდეგ სულ 5 ნეშტის ექსგუმაცია–იდენტიფიკაცია და გადასვენება მოხდა როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს. რადიო „თავისუფლებისთვის“ ცნობილია, რომ თამარაშენთან ახლოს საერთო სამარხი არსებობს, სადაც საქართველოს თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროს დაახლოებით 10 თანამშრომელია დამარხული და დიდი ხანია ქართული მხარე ნეშტების ექსგუმაცია–იდენტიფიკაციას ითხოვს. ასკარ უმარბეკოვი ვერ ამბობს, ეს პროცესი როდის დაიწყება და არ გამორიცხავს, რომ თამარაშენის გარდა კონფლიქტის ზონაში სხვა ადგილებიც არსებობდეს, სადაც საერთო სამარხებია მოწყობილი. „წითელი ჯვრის“ საერთაშორისო კომიტეტის სპეციალისტები ამ სამარხების ზუსტი ადგილმდებარეობის დასადგენად მუშაობას გააგრძელებენ:

„თამარაშენი ერთ-ერთი ადგილია, სადაც არის ეს სამარხი, თუმცა ასეთი ადგილები შეიძლება ბევრგან იყოს. ჩვენ ღია ვართ იმისთვის, რომ მსგავსი ინფორმაცია მივიღოთ როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებისგან, ისე მედიასაშუალებებისა და ადგილობრივი მოსახლეობისგან. ასეთი ინფორმაციის მიღებას ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.“

2008 წლის ომის შემდეგ, დღევანდელი მონაცემებით, „წითელი ჯვრის“ საერთაშორისო კომიტეტი სამივე მხრიდან 41 უგზო-უკვლოდ დაკარგულს ეძებს. საკოორდინაციო მექანიზმის სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლებს 90-იანი წლების კონფლიქტის დროს დაკარგული 140 ადამიანის სიაც აქვთ, თუმცა, ამ სიებში ცვლილებები ხშირად შედის. უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების საკოორდინაციო მექანიზმის მორიგი შეხვედრა მომავალი წლის დასაწყისში გაიმართება.

**გოგა აფციაური,**
რადიო „თავისუფლება“

# მე სიცრუით არ მოვალ!

**„ასე არ იქნება, რომ ყველა ყველაფერს კადრულობს, ყველა ყველანაირ ძალადობას ემორჩილება და შემდგომ ყველას თავზე ხელს გადავუსვამთ. პოლიტიკურად, კი ბატონო, ყველას თავზე ხელს გადავუსვამთ და არავის დევნას არ დავუწყებთ, მაგრამ კანონი ამუშავდება და... კანონის დარღვევა არავის არ ეპატიება“,** — ბატონ ბიძინა ივანიშვილის ეს სიტყვები საგანგებოდ ჩავინიშნე „ქართული ოცნების“ ლიდერის „მაესტროს“ ეთერით შალვა რამიშვილთან საუბრის დროს.

**საგულისხმოა, რომ არჩევნებში „ოცნების“ გამარჯვების შემთხვევაში, საჯარო მოხელეებზე არანაირი შურისგება არ იგეგმება, პასუხი მხოლოდ კანონდამრღვევებს მოეკითხებათ. ჩვენ სწორ პოლიტიკას და ეკონომიკას ავაგებთ და ამის საფუძველზე ყველას, მათ შორის საჯარო მოხელეებსაც გაუჩნდებათ სამსახურის შენარჩუნების შანსი,** — აღნიშნა ამ ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილმა. მისი თქმით, **თუ „ნაციონალური მოძრაობა“ დარჩება ხელისუფლებაში, გაღატაკებული ბიუჯეტის გამო ველარ შეძლებს მათთვის ხელფასების გადახდას და ისინი სამსახურს ისედაც დაკარგავენ. მათ მხოლოდ „ოცნების“ გამარჯვების შემთხვევაში შეუნარჩუნდებათ სამსახური.**

პროფესიონალები სამსახურს არ დაკარგავენ. მათი აბსოლუტური უმრავლესობა სამუშაო ადგილს შეინარჩუნებს, — ხაზი გაუსვა ბიძინა ივანიშვილმა. მოეკითხებათ მხოლოდ მათ, ვინც კანონს არღვევს.

**„ძალიან ბევრია გაყალბების მექანიზმში ჩართული. ვიცით, ვინ რას და როგორ აკეთებს. პირველ ყოვლისა, სასამართლოს მივცემთ თავისუფლებას, სამართლიანი სასამართლო იქნება და მათ მოუწევთ პასუხისგება, რათა საქართველომ, მოსახლეობამ ისწავლოს, რომ არავის არ ეპატიება მოპარვა. მით უმეტეს — ყველაზე დიდი დანაშაული და ქურდობა ადამიანის მომავლისათვის ხმის მოპარვაა. ამას არავის არ ვაპატიებთ და ძალიან მკაცრად დავსჯით“,** — დასძინა ივანიშვილმა „მაესტროს“ ეთერით.

მისი თქმით, არიან ქალბატონები — კოორდინატორები, რომლებიც 300 ლარად აყალბებენ ხმებს. **„ეს ჩვენი საზოგადოების დიდი პრობლემაა. საზოგადოების გაღარიბება-გაკოტრება იმ მეთოდებით ხდება, რითაც ისინი ქვეყანას მართავენ.**

## ერთი ტელეგადაცემის გამო




**უწინ, სოფლის მეურნეობაზე და ეკონომიკაზე საუბრისას, კითხვები მიჩნდებოდა და ახლა უკვე პასუხი მაქვს — მოსახლეობას მიზანმიმართულად აკოტრებდნენ, რომ მერე 300 ლარით აეძულებინათ იმის კეთება, რაც მათ სურთ. ეს მომენტი არსებობს. მეორე მომენტიც არის — 300 ლარით მომავალი არ უნდა გაინადგურო... ამ 300 ლარის ამღები ქალბატონები ძალიან ხშირად პედაგოგები არიან, ხშირად გაუნათლებლებიც. ვგულისხმობ — უმაღლესი განათლების გარეშე. ძალიან რთული მომენტია. არც მათ არ ვაპატიებთ, მათგან ბევრი დაისჯება, გადაჰყვება 300 ლარს და შეიძლება რაღაც ეტაპზე ამის შედეგად თავისუფლებაც დაკარგოს. ეს ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემაა, რომ როგორმე აქედან ამოვიყვანოთ საზოგადოება... აღარ უნდა გახდეს საჭირო დიდი ძალისხმევა იმისათვის, რომ საკუთარი ხმა მიიტანოს ბოლომდე ამომრჩეველმა. მესმის, რომ ძალიან ბევრი ამას შეუგნებლად აკეთებს, მაგრამ რა ვქნათ? ვისაც ამის შეგნება არ ჰყოფნის, მათაც უნდა იცოდნენ, რომ ამის გამო ისჯებიან. არსებობს კანონი. კანონის იმედიც უნდა ჰქონდეთ და კანონის უნდა ეშინოდეთ“.**

მან ილაპარაკა, აგრეთვე, ეკონომიკისა და ბიზნესის პრობლემებზეც და დასძინა, რომ სააკაშვილის ხელისუფლებისგან განსხვავებით, სწორ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებს შექმნის ქვეყანაში. **„გადასახადების ამოღება სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, რასაც წინა ხელისუფლება ვერ ახერხებდა და ერთადერთი, რაც დასაწყისში მოახერხა ამ ხელისუფლებამ. მეტი ამათ არაფერი არ გაუკეთებიათ — არც ეკონომიკა გაუზრდიათ, არც არაფერი. წინა ხელისუფლება ფულის ამოღებას და გადანაწილებას ვერ ახერხებდა. ფული უნდა ამოიღო ერთი ნაწილიდან, ვისაც აქვს და გადაანაწილო მეორე ნაწილზე — სახელმწიფო სექტორებზე, პენსიონერებზე, სოციალურად დაუცველ ადამიანებზე. სახელმწიფო სტრუქტურა ხელფასების გაცემას ითხოვს, პენსიონერებს უნდათ უფრო მეტი პენსია, სოციალური დახმარების გაზრდა სურთ. მეორე ნაწილია ბიზნესი, რომელიც ვითარდება.**

**ბიზნესს კვერცხი უნდა ამოართვა და არა ქათამი. ქათმის დაკვლა თუ დაიწყე, პერსპექტივა აღარ გაქვს. ეს მარტივი პროცესი არ არის... პერსპექტივა არ უნდა მოკლა, და არც პენსიონერი და არც გაჭირვებული არ უნდა დაღუპო, უნდა მონახო ოქროს კვეთი. ამას მუდმივი მუშაობა სჭირდება და მუდმივად პულსზე უნდა გედოს ხელი“...**

შეკითხვაზე, „ნაციონალური მოძრაობისგან“ განსხვავებით, „ქართულ ოცნებას“ რატომ აქვს ნაკლები კონკრეტული დაპირება, ბიძინა ივანიშვილმა უპასუხა: **მე სიცრუეს ვერიდები, სიცრუით არ უნდა მოხვიდე, შენს სიტყვებზე პასუხი უნდა აგო... თუ სიცრუით მოდიხარ, მერე იმ სიცრუეს გამართლებაც უნდა. ესენი ყველაფერს პირდებიან იმის გამო, რომ სავარძლები შეინარჩუნონ. ახალ-ახალი სიცრუის ნაკადი მოდის, ახალ უბედურებებს სჩადიან. ხალხს ხელებს უგრეხენ, იჭერენ, რომ ფული იშოვონ, რათა ტყუილის საფუძველზე სავარძლები შეინარჩუნონ. არ შეიძლება სიცრუით მოსვლა. დაპირებების არ მეშინია, მაგრამ საჭიროა სიფრთხილე, რასაც იტყვი, უნდა აასრულო კიდეც, რათა ტყუილებში აღარ იცხოვროს ხალხმა. თუმცა რადგან ეს ხელისუფლება ყველაფერში ცრუობს, იმედი არ მაქვს, რომ ბიუჯეტში ყველაფერი რიგზე დაგვხვდება. „რატომ უნდა დავიჯერო იმ ციფრების, რასაც ბიუჯეტზე ამბობენ. ვგონებ, იქ კატასტროფა დაგვხვდება. დაპირებების მეშინია. ამიტომ შეიძლება არც დავპირდე, თუმცაღა რაც დავპირდი, ისიც ათჯერ და ათასჯერ დავაზღვიე“...** — აღნიშნა ივანიშვილმა.

მისი თქმით, თუ დახმარებაა, უხეშად კი არ გადაიხდის, არამედ გამოინახება ამის კანონიერი გზა. **„ეს არ იქნება უხეში ფორმა, არამედ — აბსოლუტურად კანონიერი და ამას საზოგადოება ვერ იგრძნობს, ვერც გაიგებს. ეს ჩვეულებრივად წამოვა ბიუჯეტიდან. ამას ვაკეთებდი და ასე ვეხმარებოდი“...**

ბიძინა ივანიშვილის თქმით, **სიცრუეა, რომ მარტო სოფლის მეურნეობისთვის ხელისუფლებას 4 მილიარდი აქვს გამოყოფილი. 2013 წლის ბიუჯეტი უკვე გამზადებული უნდა იყოს — თქვა მან, — სოფლის მეურნეობისთვის ბიუჯეტში თანხა რამდენია განკუთვნილი არ ამბობენ, რადგან არაფერი არ აქვთ და საიდან უნდა გვიჩვენონ?**

**იგივე ითქმის ათასლარიან ვაუჩერზე. არავინ იცის, როდის მისცემენ ამ ფულს ხალხს. „სააკაშვილს რაც აქვს, არ უნდა დაუკარგო: პროფესიონალი მატყუარაა“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

საუბრის ბოლოს მან ისიც დასძინა, რომ ყოველთვის ძალიან გამჭვირვალე და კარგი მენეჯმენტი ჰქონდა. ამის დასტურია რუსეთში მუშაობის პერიოდი, **„ათი წელიწადია, იქ არ ჩავსულვარ და ისეთი გუნდი ავაწყვე, დღესაც მყარად დგას ფეხზე... აქაც ისე ავაწყობთ და დავაბალანსებთ, თავის თავს თვითონ გააკონტროლებს გუნდი, შიგნით იმდენ მექანიზმს ჩავდებ, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ნუ გეშინიათ“,** — დაასრულა ბიძინა ივანიშვილმა.

ეს მექანიზმი თვითმაკონტროლებელ სისტემას ეფუძნება, რომელიც საკუთარ თავს თვითონ გააკონტროლებს და კორუფციასაც გამორიცხავს...

**თამარ შაიშმელაშვილი**

## ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ

"მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ" ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების" შესაბამისად.

თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელთან (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება.

მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას.

თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი № 1-ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ. შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია 2013 წლისთვის — ცხრილი №1

| № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელეფ. ნომერი მობილ. ნომერი ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის წლიური მოცულობა (კუბ.მ.) | **მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი ( დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| 1 | შპს „ეს ჯი გაზ კომპანი" | ქ. ახალქალაქი, თავისუფლების ქ. № 100 | 0(362) 22 32 44<br>595 20 40 39<br>595 42 95 77<br>sjgskcom_ ltd@mail.ru | საყოფაცხოვრებო 5 750 000<br>არასაყოფაცხოვრებო 1 250 000 | საყოფაცხოვრებო 30,619<br>არასაყოფაცხოვრებო 49,009 |

* — თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

** — შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა). მიმწოდებელს, რომელსაც თვითოეული კატეგორიისთვის შეთავაზებული აქვს ორი ფასი, ეს არის ზღვრული ფასები (ქვედა და ზედა ზღვარი)

— ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ.ქუთაისი. ჩეჩელაშვილის ქ.№26.. ტელ: +995 431 25 61 20. ფაქსი: 995 431 25 61 21

ალიან-ჩალიანი

## თინა ხიდაშელი – არასოდეს დაგვიმალავს, რომ ბიძინა ივანიშვილს ლობისტური კომპანიები ჰყავს დაქირავებული

მისივე განმარტებით, „ეს ყველაფერი მაშინ დაიწყო“ რაც 11 დღის განმავლობაში ბანკ „ქართუს“ წინააღმდეგ „პირდაპირი მნიშვნელობით შტურმი მიმდინარეობდა“.

— სწორედ მაშინ იყო, რომ ბატონმა ბიძინამ დაიქირავა ამერიკაში საბანკო ურთიერთობასთან დაკავშირებით არა ლობისტური, არამედ ერთ-ერთი დიდი საადვოკატო კომპანია. ეს პროცესი გაგრძელდა. ზუსტად რამდენ თანხას იხდის „ქართული ოცნება“, მე არ ვიცი, ეს ძირითადად შესრულებულ სამუშაოზეა დამოკიდებული, თუმცა ვისაც ამ ტიპის ინფორმაცია აინტერესებს, ის ხელმისაწვდომია და არაფერი დაფარული არ არის, — განმარტა ხიდაშელმა.

ამასთან, მან „ნაციონალური მოძრაობის“ ლობისტურ კომპანიებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ პოლიტიკურ ძალაზე არა მხოლოდ კონკრეტული კომპანიები, არამედ უცხოეთში აკრედიტებული საქართველოს დიპლომატიური კორპუსშიც მუშაობენ.

* * *

თუ ხელისუფლება არჩევნების შედეგებთან მიმართებაში განსაკუთრებული უხეშობის ჩადენას ვერ გაბედავს, ჩვენ ქართველი ხალხის არჩევანს პატივს ვცემთ, — ასე გამოეხმაურა „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი ქართული პოლიტიკური სპექტრისადმი სენატორ ჯონ მაკკეინის მოწოდებას იმასთან დაკავშირებით, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ არჩევნების შედეგების აღიარების შემთხვევაში ის ლეგიტიმურად დამარცხებულმა პოლიტიკურმა ძალამაც გამოაცხადოს.

— მაკკეინის მოწოდებასთან დაკავშირებით ჩემი პასუხი უმარტივესია — ქართველი ხალხის გადაწყვეტილებას, როგორიც არ უნდა იყოს ის, ყველა შემთხვევაში უნდა დავემორჩილოთ. თუ ხელისუფლება ვერ გაბედავს ამ კუთხით რაიმე განსაკუთრებული უხეშობის ჩადენას, ხმებს დავითვლით და, რა თქმა უნდა, პატივს ვცემთ ქართველი ხალხის არჩევანს, — აღნიშნა ხიდაშელმა.

თუმცა, მისივე განმარტებით, საქართველოში ბევრი რამ გვინახავს ისეთიც, რასაც საერთაშორისო დამკვირვებლები ვერ ხედავენ.

— საერთაშორისო დამკვირვებლები ბევრს ხედავენ, ბევრს — ვერა. ჩვენი ამოცანაა, რომ ისინი წინასწარ, მუდმივად ინფორმირებულნი იყვნენ, რათა შემდგომში აღარ ჰქონდეთ განცდა, რომ „რაღაცის“ შესახებ ინფორმაცია არ გააჩნდათ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ასეთ პირობებში შევძლებთ, რომ იდენტურ, ერთნაირ დასკვნებამდე მივიდეთ, — განმარტა ხიდაშელმა.

ამასთან, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ ლიდერს ეჭვი არ ეპარება იმაშიც, რომ არჩევნების გაყალბების შემთხვევაში მის შედეგებს „ქართული ოცნება“, ამომრჩეველი და საერთაშორისო თანამეგობრობა ერთად დაიცავს.

ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ

[illegible]

ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ

[illegible]

## შსს-სთან „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის აქცია დასრულდა

შსს-სთან „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი 500-მდე ახალგაზრდა საყვირებით მივიდნენ და შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ძალადობის, შანტაჟისა და დაშინების ფაქტები გააპროტესტეს.

როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას კოალიციის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ცოტნე ზურაბიანმა განაცხადა, ხშირია შემთხვევები, როდესაც „ქართული ოცნების“ მხარდაჭერისთვის ახალგაზრდებს აშინებენ და აშანტაჟებენ.

საპროტესტო აქციაზე 1-ელ სექტემბერს დაპატიმრებული 18 წლის ბექა ჯიქიძის მშობლები, გოგი ჯიქიძე და ელენე შოთაძეც იმყოფებოდნენ, რომლებმაც „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადეს, რომ მათი შვილი პოლიტიკური პატიმარია. მათი თქმით, ბრალდება ჯგუფური ძარცვის შესახებ შეთითხნილია. ასევე, მშობლებმა მხოლოდ ის იციან, რომ ბექა ჯიქიძე პროტესტის ნიშნად შიმშილობს და ობიექტურ გამოძიებას ითხოვს. მათივე ინფორმაციით, პატიმართან ადვოკატი შესვლას ვერ ახერხებს.



## ◎ პიარი: თეთრი და შავი...

# საარჩევნო რეკლამა და „წუპაკი მამაძაღლები“, რომელთაც წერილში არ ვახსენებ




**რეკლამა (ლათ. reclamo - „წამოვიყვირებ“) – ინფორმაცია გავრცელებული ნებისმიერი მეთოდით, ნებისმიერი ფორმით და ხერხით, მიმართული საზოგადოების ფართო მასებისთვის, რეკლამირების ობიექტის მიმართ მათი ყურადღების მიპყრობის და ინტერესის გაღვივების მიზნით.**

**რეკლამის ვარიანტებია: პუბლიკაცია, „პიარი“, პროდუქტის ჩასმა, სპონსორობა, გაყიდვების წახალისება. ამგვარი ინფორმაციის გასავრცელებლად მედიის ყველა სახეობა გამოიყენება: ტელევიზია, რადიო, ფილმები, ჟურნალები, გაზეთები, ინტერნეტი და ბილბორდები. ძველ საბერძნეთში და რომში სარეკლამო განცხადებებს წერდნენ, ცნობილია ბეჭდური სარეკლამო განცხადება ინგლისში, რომელიც 1473 წლით თარიღდება**

**რეკლამა არის საინფორმაციო პროპაგანდისტული, ღონისძიებების ერთობლიობა, გამიზნული მოსახლეობის მოთხოვნილებებზე. სარეკლამო ინფორმაცია, ეს არის პოტენციური მყიდველების შეტყობინება საქონელთა შესახებ, მათი დანიშნულებისა და თვისებების, გაყიდვის ადგილებისა და პირობების, აგრეთვე შეთავაზებული მომსახურების შესახებ. საქონელთა პროპაგანდა კი არის საქონლის შესახებ ცნობების გავრცელება და გაღრმავებული განმარტება მყიდველებზე ზემოქმედებისა და მასში ყიდვის მოთხოვნების გაჩენის მიზნით. რეკლამის ძირითადი პრინციპები – გეგმაზომიერება და ინფორმაციულობა.**

რაც ახლა შემოგთავაზეთ, არის სიტყვა „რეკლამის“ ძალიან მცირე განმარტება. პრინციპში საქართველოს მოსახლეობას ერთი შეხედვით მაინცადამაინც არ უნდა სჭირდებოდეს ამ სიტყვის შესახებ რაიმე ინფორმაციის მიწოდება, მაგრამ ის, რასაც დღეს წინასაარჩევნო რეკლამის სახით ვხედავთ, აბსოლუტურად სცილდება რეკლამის კლასიკურ ფორმებს და საკმაოდ უცნაურ, კატოგრიოზისთვის ჯერ უცნობ სახეს იძენს.

რატომ?

ახლავე მოგახსენებთ.

არაფერს ვიტყვი იმაზე, რომ ქართველები ძალიან განსხვავებული ხალხი ვართ და შეგვიძლია, თუ არა, ყველაფერი მაინც ჩვენებურად, ანუ ქართულად უნდა გავაკეთოთ. არ ვიტყვი, რადგანაც ეს უდავო ჭეშმარიტებაა და ამის ნათელ მაგალითს ის წინასაარჩევნო სარეკლამო რგოლები წარმოადგენს, რომლებიც დღეს ტელევიზიებით ვრცელდება.

თუ წლევანდელ საარჩევნო ლოზუნგებს წინა არჩევნებში გამოთქმულ მოწოდებებს შევადარებთ, დავინახავთ რომ ლეიბორისტების გარდა, აღარავინ აპირებს მდიდრებისთვის წართმევას და წართმეული ქონების ღარიბებისთვის დარიგებას. ხოლო რაც შეეხება ფაბრიკა-ქარხნების – მუშებისთვის, ხოლო მიწების გლეხებისთვის გადაცემას, ამ დაპირებას თვით მშრომელთა პარტიის წარმომადგენლებიც ვერ რისკავენ.

წლევანდელ არჩევნებში მთავარი აქცენტი დასაქმებაზე, სოფლის მეურნეობაზე და სადაზღვევო სისტემაზე კეთდება და ყველაზე უცნაური ისაა, რომ არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტის დაპირებები გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს და ტელეეთერში გასული რგოლები საოცარი მიმდევრობით გვპირდებიან სოფლის მეურნეობის აღორძინებასა თუ დასაქმებას.

ამ რგოლებს გაფაციცებით უნდა უყურო, თორემ შეიძლება ქრისტიან–დემოკრატების ერთმილიარდიანი დაპირება, ან ნაციონალების დასაქმების პროგრამა „ქართული ოცნების“ პრიორიტეტებში აგერიოს.

ქვეყნის მომავლის მშვიდი და ნარნარი განვითარების ფონზე, თეთრი ყვავილით გამოჩნდებოდა ლეიბორისტების მიერ შემოთავაზებული პიარის ახალი სტილი, რომელიც „მხილებასა“ და ხვეწნა-მუდარაზეა აგებული, რომ არა ნაციონალური მოძრაობის მიერ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ შექმნილი სარეკლამო რგოლები.

არადა, აშკარად ჩანს, რომ ეს რგოლები ისეთი ხალხის „შექმნილია“, რომლებმაც ან თავად არ იციან საქართველოს უახლესი ისტორია, ან ჩვენ ვგონივართ გულმავიწყები და გონებადაბინდულები. მაპატიეთ ასეთი უხეში შედარებისთვის, მაგრამ სხვა რა უნდა იფიქრო, როდესაც საუბრობენ საბჭოთა საქართველოზე და კადრებში 90-იანი წლების თბილისია. არც ერთი ჭკვიანი პიარმენეჯერი არ დაუშვებდა მსგავსი ტყუილით სავსე რგოლის ტელეეთერით გაშვებას. არ დაუშვებდა, რადგანაც ყველამ, თვით იმ თაობამაც კი, რომელიც პოსტკომუნისტურ საქართველოში დაიბადა (მშობლების მონაყოლიდანძ, კარგად იცის, თუ როგორი საინტერესო ცხოვრება იყო მაშინდელ საქართველოში და რომ ასეთ ტყუილს არამცთუ მოკლე ფეხი, საკმაოდ დიდი უკუეფექტი აქვს.

ასეთ ტექნოლოგიას ხშირად „შავ პიარს“ უწოდებენ, მაგრამ, როგორც პიარის სპეციალისტები განმარტავენ, **„ეს ტერმინი არასწორია და მეტიც, ასეთი განსაზღვრება საერთოდ არ არსებობს. არსებობს კონკურენციის დროს ბინძური, არასასურველი და მანიპულაციური ტექნოლოგიების გამოყენება, რაც საშუალებას იძლევა საზოგადოებრივი აზრი მართო დროის მცირე მონაკვეთში. სწორედ ასეთი ტექნოლოგიების გამოყენებას რატომღაც დაარქვეს „შავი PR“. ტერმინი „შავი PR“-ის ხშირი გამოყენება ემსახურება PR-ის, როგორც საკომუნიკაციო და დემოკრატიული დისციპლინის დისკრედიტაციას.**

**PR არის მართვის ფუნქცია, რომლის მიზანია ორგანიზაციასა და საზოგადოებას შორის ორმხრივი, კეთილსასურველი ურთიერთობების ჩამოყალიბება და შენარჩუნება, რომელიც სიმართლესა და მაქსიმალურ ინფორმირებულობას ეფუძნება, ანუ თუ PR არის ხელოვნება და მეცნიერება, რომელიც ემსახურება გაგებისა და კეთილგანწყობის დამკვიდრებას, კეთილსასურველი კავშირების ჩამოყალიბებას საზოგადოებასა და ორგანიზაციას შორის და ახორციელებს მათ შორის ურთიერთობას კეთილი განზრახვით, მაშინ PR არ შეიძლება იყოს შავი, რადგანაც „კეთილსასურველი“ და „კეთილი განზრახვით“ დამყარებული ურთიერთობა არ შეიძლება იყოს შავი.**

**არსებობს PR სპეციალისტის პროფესიული ქცევისა და ეთიკის კოდექსი, სადაც ერთმნიშვნელოვნად არის განსაზღვრული, რომ PR სპეციალისტს და პრაქტიკოსს, არა აქვს უფლება გამოიყენოს ბინძური, მანიპულაციური ტექნოლოგიები და მიაწოდოს საზოგადოებას ტყუილი ან დამაბნეველი ინფორმაცია მისი შეცდომაში შეყვანის მიზნით.**

**PR სპეციალისტებს და პრაქტიკოსებს აქვთ სოციალური პასუხისმგებლობა სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის მიმართ. აქედან გამომდინარე, მათი პროფესიული საქმიანობა უნდა შეესაბამისებოდეს საზოგადოების ინტერესებს. დასავლეთში კი PR-ს, როგორც „შავს“, ასე არ იცნობენ“.**

ეს ყველაფერი ნორმალურ ქვეყნებშია მიღებული. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება კი ყველანაირი მეთოდებით ცდილობს, ისევ შეინარჩუნოს ძალაუფლება და მიუხედავად იმისა, რომ ხმამაღლა გაჰკივის თავისი ევროპული და ცივილიზებული კურსის შესახებ, თუნდაც წინასაარჩევნო პიარითა და რეკლამით თავადვე ანგრევს ამ მითს.

ძალიან საინტერესოა ის კადრები, რომლებიც პოლიტიკური სუბიექტების წარმომადგენლების ხალხთან ურთიერთობას ასახავს.

ძალიან სასაცილოა ის კადრები, რომლებშიც სხვადასხვა პოლიტიკური ოქგანიზაციების ლიდერები „ნორჩი თემურელებივით“ იქცევიან. თიბავენ ბალახს, კრეფენ ყურძენს, მრისხანე თვალებით აჰყურებენ ჩამონგრეულ შენობებს, გადაჰყავთ მოხუცი ქალბატონი ქუჩაზე და ათასგვარ სიკეთეს სჩადიან.

ძალიან სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, რადგანაც რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ ამ კადრების გადაღებას საკმაოდ ბევრი დუბლი დასჭირდებოდა. დასჭირდებოდა, რადგანაც ცელის სამწამიანი მოქნევა, ორწამიანი მრისხანე მზერა, სეკატორით მოჭრილი ოთხი მტევანი ყურძენი და ქუჩაზე გადაყვანილი პარტიის აქტივისტის ბებია არაფერს აღარ ნიშნავს ქართველი ამომრჩევლისთვის. აბსოლუტურად არაფერს, რადგანაც ეგენი „ის კაცები არ არიან“. დიახ, ის კაცები, რომლებსაც რამეს გაკეთება შეუძლიათ და ეს ყველამ კარგად იცის. არ არიან გამკეთებლები, რადგანაც საქართველოში არავინ არ დასაქმებულა „დასაქმების სამინისტროს“ აპარატის თანამშრომლების გარდა, დაზღვევით არავის უსარგებლია, ყვითელი ავტობუსებით „მოსეირნე“ „მიშა-მიშას“ დამძახებელი ოცლარიანი ქალბატონებისა და ჰალსტუხიან-ფეხსაცმლიანი ბაღდათელი „ავადმყოფის“ გარდა. ოპოზიციას კი პარლამენტის წევრობაზე უარის სათქმელი „ცუდად დაწერილი“ განცხადების და „აბა ჩემო მანასეს“ მსგავსი ქმედებების მეტი არაფერი უკეთებია.

ძალიან ბევრია სათქმელი. ძალიან ბევრი, მაგრამ ყველა კარგად ვხედავთ, რომ ბევრი სარეკლამო სახე „არაა ის კაცი“ და კორექტულობის გამო, მათ დამახასიათებელ, დათა თუთაშხიას მიერ ნათქვამ ფრაზას აღარ ვიტყვი.

აღარ ვილაპარაკებ წინასაარჩევნო სარეკლამო კამპანიის დროს განხორციელებულ დარღვევებზე, რადგანაც ჯერ ერთი, მათ მხოლოდ სახელისუფლებო პარტია, ანუ ნაციონალური მოძრაობა სჩადის და მათ შესახებაც ყველამ, განსაკუთრებით კი უცხოელმა დამკვირვებლებმა იციან. მეორეც იმიტომ, რომ აღარ ღირს ამ თემაზე ბევრი ლაპარაკი.

ამიტომ ამ წერილს ერთი მცირე მოწოდებით დავამთავრებ: **უყურეთ წინასაარჩევნო რეკლამებს, უსმინეთ წინასაარჩევნო დაპირებებს, მაგრამ არჩევანი ისე გააკეთეთ, რომ ქვეყანას არაფერი დაუშავოთ.**

**გია გაბრიჭიძე**

## ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ

**პარალელებისათვის**

# მიწიერი ჯოჯოხეთის ურჩხულები

# 1. კალიგულა

რომმა კაცობრიობას მისცა უდიდესი სახელმწიფო მოღვაწენი (გენიალური გაიუს იულიუს ცეზარი, მისი დისწულის შვილი ოქტავიანე ავგუსტუსი, იმპერიის დასასრულს – კონსტანტინე დიდი და სხვ.ძ, ორატორები (საკმარისია დავასახელოთ ორატორული ხელოვნების მწერალი მარკუს ტულიუს ციცერონიძ, პოეტები (ვერგილიუსი, ჰორაციუსი, ოვიდიუსიძ, ფილოსოფოსები (ლუკრეციუს კარი, ლუციუს ანეუს სენეკა, იმპერატორი – ფილოსოფოსი მარკუს ავრელიუსიძ, ისტორიკოსები – (ტიტუს ლივიუსი, კორნელიუს ტაციტუსი, ამიანუს მარცელინუსიძ, სახელოვანი სარდლები, კანონმდებლები.

რომი იყო სამ კონტინენტზე გადაჭიმული (ცივილიზებული სამყაროს უმეტესი ნაწილისძ გიგანტური სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი, რომელიც გახდა დიდი ელინური და ელინისტური ეპოქების მიღწევათა ღირსეული მემკვიდრე და გამგრძელებელი.

რომაულ კულტურას რენესანსის მეშვეობით დაეფუძნა მომდევნო საუკუნეების ევროპული ცივილიზაცია (ხელოვნება, განათლება, მეცნიერებაძ.

რომაული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის სიმაღლის ფონზე გამოკვეთილად ჩანს შავი ლაქები, რომლებიც სამარცხვინო ფურცლებად შევიდნენ მსოფლიო ისტორიაში: „მარადიული ქალაქის“ მეუფენი გახდნენ სისხლისმღვრელი ურჩხულები, რომლებიც ადამიანების ამქვეყნიურ არსებობას ნამდვილ ჯოჯოხეთურ სატანჯველს უქმნიდნენ, არარაობად აქცევდნენ პიროვნულ ღირსებებს, თელავდნენ ტრადიციებს და ყოველგვარ სიწმინდეს, არ ცნობდნენ კანონებს (ტიბერიუსი, კალიგულა, ნერონი, დომიციუსი, ჰელიოგაბალი და სხვ.ძ, იგონებდნენ წამების ახალ საშუალებებს. ადამიანებს განიხილავდნენ პირუტყვებად, ან უკეთეს შემთხვევაში არაფრის მაქნის ბრბოდ, რომლის გარეკვა თავისუფლად შეიძლებოდა ნებისმიერი მიმართულებით.

ადამიანების მტანჯველ ბოროტ სულად მოვლენილ მტარვალთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს გაიუს ცეზარს – კალიგულას და მის დისწულს ლუციუს დომიციუს აჰენობარბს – ნერონს.

> კალიგულა გაიზარდა დამოკლეს მახვილის ქვეშ, მედროვეებისა და ორპირ-მლიქვნელთა გარემოცვაში. ბეწვის ხიდზე მდგარმა საოცარი სისრულით შეისისხლხორცა ეპოქის ყველა მანკიერება და სიბინძურე. არ გამოირჩეოდა ნიჭიერებით, მაგრამ შესანიშნავად ითვისებდა ყოველივე ცუდს.

კალიგულა სახელოვანი მშობლების ოჯახში დაიბადა. მისი მამა გერმანიკუსი იმპერატორ ტიბერიუსის ძმისწული იყო. გერმანიკუსს ბრძოლებში მრავალი ბრწყინვალე გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული, რის გამოც რომის ლეგიონების საყვარელ სარდლად ითვლებოდა. ეჭვიანსა და კაცთმოძულე ტიბერიუსს აღიზიანებდა ძმისწულის ავტორიტეტი, მისი სახით კონკურენტს ხედავდა და მოაკვლევინა. კალიგულას დედა, აგრიპინა უფროსი, ოქტავიანე ავგუსტუსის შვილიშვილი იყო. ანტიკურ ავტორებს იგი დახატული ჰყავთ სამშობლოს სამკაულად და ძველი ზნეობის შეუპოვარ დამცველად. გერმანიკუსის სიკვდილის შემდეგ ბოროტმა ტიბერიუსმა აგრიპინა გადაასახლა და წამებით მოუღო ბოლო. იმპერატორის რისხვას ვერ გადაურჩნენ დასჯილთა შვილები: ნერონ ცეზარი და დრუზუს ცეზარი. ისინი სამშობლოს მტრის ბრალდებით შიმშილით დახოცეს.

გერმანიკუსის ოჯახიდან მხოლოდ კალიგულა გადარჩა. ამ ფაქტის ასახსნელად ასახელებენ მის თანდაყოლილ ავადმყოფობას (ეპილეფსიაძ. საიმპერატორო კარზე მიაჩნდათ, გერმანიკუსის უმცროსი ძე არ იყო სრულფასოვანი. ამის გამო ტიბერიუსი მის არსებობაში საშიშროებას ვერ ხედავდა.

გაიუს ცეზარი – კალიგულა დაიბადა 12 წელს. მეტსახელი კალიგულა, ჩექმის კნინობითი ფორმა (კალიგა – ჩექმაძ შეარქვეს ლეგიონერებმა თავიანთ სარდლის პატარა ბიჭს, ჩაცმულს სამხედრო ფორმასა და ჩექმებში.

კალიგულა გაიზარდა დამოკლეს მახვილის ქვეშ, მედროვეებისა და ორპირ-მლიქვნელთა გარემოცვაში. ბეწვის ხიდზე მდგარმა საოცარი სისრულით შეისისხლხორცა ეპოქის ყველა მანკიერება და სიბინძურე. არ გამოირჩეოდა ნიჭიერებით, მაგრამ შესანიშნავად ითვისებდა ყოველივე ცუდს. „თორმეტი ცეზარის ცხოვრების“ ავტორი გაიუს სვეტონიუს ტრანქვილუსი, კალიგულას ბიოგრაფიაში დადებითი ქმედების ერთ სხივსაც ვერ ამჩნევდა. ძველი წყაროების ერთსულოვანი გადმოცემით, სულიერად ავადმყოფ და გაუწონასწორებელ კალიგულას აღმოაჩნდა ხელისუფლებისკენ სწრაფვის საოცარი უნარი და იმპერატორის ტახტზე აღზევებული კაციჭამიად მოევლინა რომაელ ხალხს.

31 წლის ტიბერიუსმა 19 წლის კალიგულა კუნძულ კაპრიზე დაიბარა. საეჭვო არ არის, რომ ისიც დასასჯელად იყო განწირული. მაგრა მოხდა საოცრება. თითქოს უჭკუო და ქარაფშუტა კალიგულამ მოხერხებულად გაუძლო გამოცდას. თვალთმაქცობით გააცურა მიჩენილი მსტოვარი, რომლებმაც ერთი უკმაყოფილო სიტყვაც ვერ გამოსტყუეს თავისიანების უსამართლო დასჯასთან დაკავშირებით. ისეთი პოზა ეჭირა, თითქოს ისინი საერთოდ არ ახსოვდა. შესანიშნავად თამაშობდა შეშლილის როლს (თუმცა ამისთვის დიდი შრომა არ სჭირდებოდაძ. იმპერატორმა და სპეციალურად მიჩენილმა მეთვალყურეებმა ახალგაზრდა მოსულელო კაცში საეჭვო ვერაფერი შეამჩნიეს. მრავალგზის შემოწმების შემდეგ ტიბერიუსი დარწმუნდა, რომ მისი ძმისწულის შვილი არ იყო ნორმალური და მისგან არავითარი საფრთხე არ იყო მოსალოდნელი. ამიტომ სრული თავისუფლება მიანიჭა. ისიც შეუდგა თავაშვებულ ცხოვრებას, დაეხეტებოდა საეჭვო რეპუტაციის სახლებში, ლოთობდა, დიდ სიამოვნებას გვრიდა ადამიანთა დასჯისა და წამების სცენების ყურება. სვეტონიუსი წერს, ტიბერიუსი მოთმინებით ადევნებდა თვალყურს კალიგულას ინტერესებისა და გართობის სივრცეს და წინასწარმეტყველებდა „გაიუსი ცოცხლობს საკუთარი თავისა და ყველას დასაღუპად, მისი სახით ვკვებავ რომაელი ხალხისთვის ექიდნას და ფაეტონს მთელი დედამიწისთვის“.

37 წლის მარტში, კუნძულ კაპრიზე, 79 წლის ასაკში გარდაიცვალა იმპერატორი (ტიბერიუსის სიკვდილში ძველი ავტორები კალიგულას როლს არ გამორიცხავენძ. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ტიბერიუსმა თავის მცირეწლოვან შვილიშვილს ტიბერიუს გემელთან ერთად კალიგულა მემკვიდრედ გამოაცხადა. ანდერძის დაკანონებას სენატის თანხმობა სჭირდებოდა. გაიუსმა აქაც დიდი მოქნილობა გამოავლინა. იგი პრეტორიანული გვარდიის პრეფექტის, ცნობილი კაცისმკვლელის მარკონის აქტიური მხარდაჭერით წარსდგა სენატის წინაშე. სხდომა გაეცნო ტიბერიუსის ანდერძს, რომელშიც ორი მემკვიდრე იყო დასახელებული. კალიგულამ დაარწმუნა სენატორები, რომ ანდერძი გაეუქმებინათ. სანაცვლოდ წინადადება წამოაყენა, რომ ტიბერიუს გემელს იშვილებდა. ტიბერიუსის განუკითხაობისას მუდმივ შიშში მყოფი სენატორები ენდნენ კალიგულას სიტყვებს და მხარი დაუჭირეს.

რომის სენატი აღტაცებით შეხვდა ახალ იმპერატორს. სენატორების პირველი შთაბეჭდილებით, გულცივი და ულმობელი ტიბერიუსის ნაცვლად, მოვიდა ახალგაზრდა, ხალხის სიყვარულითა და პატივისცემით გარემოცული ოჯახის შვილი. დასაწყისი შესანიშნავი იყო. ისეთი სიტყვები წარმოსთქვა, რომ ვერც წარმოიდგენდნენ. წინადადება წამოაყენა, რომ აღადგენდა სახალხო კრების ფუნქციებს. თვალში საცემი იყო პირველი ღონისიებები: იჩენდა გულუხვობას, აწყობდა მდიდრულ სანახაობებს, მაგრამ ყველაფერი სწრაფად გაქრა, იმედი ჩაიფერფლა და რომაელებს შერჩათ მტაცებელი ადამიანის გარეგნობით.

კალიგულამ პრინციპატი გაიგო, როგორც აბსოლუტური ძალაუფლება. აღმოსავლურ მონარქიებშიც კი არ გვხვდება ყოველგვარი ადამიანურობისაგან დაცლილი მსგავსი დესპოტი. ადამიანებს ექცეოდა როგორც პირადი მოხმარების ნივთებს. ქვეშევრდომებს დაუწესა, რომ იყო ღმერთი და თაყვანი ეცათ. ტიბერიუსის დევიზი, „დე ვძულდე, ოღონდ მეთანხმებოდნენ“, კალიგულამ შეაბრუნა, „დე ვძულდე, ოღონდ ეშინოდეთ“.

კალიგულა ხალხის კეთილდღეობაზე მზრუნველის როლს თამაშობდა. მიუხედავად იმისა, რომ ნორმალურობამდე ბევრი აკლდა, ყოველი ნაბიჯი გარეგნულ ეფექტზე ჰქონდა აგებული. ურჩხულის თვისებებით შემკული შესანიშნავი ორატორი იყო. სიტყვის წარმოთქმა შეეძლო ნებისმიერ შემთხვევაში. განსაკუთრებით ეხერხებოდა ბრალის დადება. გაბრაზებული უკეთესად პოულობდა სიტყვებს და ალაგებდა აზრებს. სიტყვას ყოველთვის მუქარით იწყებდა და მუქარით ამთავრებდა.

რომის იმპერატორს რომი არ უყვარდა. განზრახული ჰქონდა დედაქალაქის ანციუმში გადატანა (ანციუმი იყო ძველი ციხე-სიმაგრე ვოლსკების მიწაზეძ, კალიგულას საყვარელი ქვეყანა იყო ეგვიპტე, განსაკუთრებით მოსწონდა ალექსანდრია და დედაქალაქის იქ გადატანას ფიქრობდა, რომ დასცლოდა ჩანაფიქრს ალბათ განახორციელებდა კიდეც.

კალიგულამ უზნეობისა და ავხორცობის ყველა მწვერვალი გადალახა. არ არსებობდა სიბილწე, მას რომ არ ჩაედინა, თანაც სულ 29 წელი იცოცხლა. ქორწინება და განქორწინება მისთვის არაფერს ნიშნავდა. ანტიკური ავტორების მოწმობით დანაშაულებრივი კავშირით ცხოვრობდა საკუთარ დებთან.

კალიგულას ავხორცობამ და ზნედაცემულობამ რომაული არისტოკრატია მიწასთან გასწორებულ და თავმოყვარეობადაკარგულ ბრბოდ აქცია. წყაროების თანახმად, იმპერატორი ხშირად მართავდა ნადიმებს. იწვევდა წარჩინებულ ოჯახებს. სტუმარ ქალებს ისე ათვალიერებდა, თითქოს მონათა ბაზარზე იმყოფებოდა. რომელ ქალსაც აირჩევდა, გვერდით ოთახში გაიყვანდა, ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნებული, მხვერპლის მეუღლეს მოუყვებოდა როგორი იყო მისი მეუღლე საწოლში, რა ჰქონდა კარგი და რა ცუდი. წყაროებში დაცულია ასეთი შემთხვევა: ქორწილში მიწვეულ კალიგულას მოეწონა პატარძალი, მაშინვე წაართვა ქმარს და თავის ბუნაგში წაიყვანა.

გადაგვარებულ იმპერატორს რამდენიმე ცოლი ჰყავდა. მათ შორის გამორჩეულად უყვარდა ცეზონია მოლონია, რომელიც არც ლამაზი იყო და არც ახალგაზრდა. კალიგულას მეუღლე ყველგან დაჰყავდა და ტრაბახობდა მისი სილამაზით. ზოგჯერ გააშიშვლებდა და მეგობრებს აჩვენებდა, რომ დამტკბარიყვნენ მისი მოხდენილი გარეგნობით. სინამდვილეში ცეზონიას სილამაზე საკმაოდ მოიკოჭლებდა.

კალიგულას ეჯავრებოდა კარგი გარეგნობის ახალგაზრდები. განსაკუთრებით ვერ იტანდა სახელოვან ადამიანებს. განზ-

> გადაგვარებულ იმპერატორს რამდენიმე ცოლი ჰყავდა. მათ შორის გამორჩეულად უყვარდა ცეზონია მოლონია, რომელიც არც ლამაზი იყო და არც ახალგაზრდა. კალიგულას მეუღლე ყველგან დაჰყავდა და ტრაბახობდა მისი სილამაზით. ზოგჯერ გააშიშვლებდა და მეგობრებს აჩვენებდა, რომ დამტკბარიყვნენ მისი მოხდენილი გარეგნობით. სინამდვილეში ცეზონიას სილამაზე საკმაოდ მოიკოჭლებდა.

რახული ჰქონდა ჰომეროსის პოემების განადგურება. ვერგილიუსისა და ტიტუს ლივიუსის წიგნები ძლივს გადაურჩა მის ბოროტ თვალებს. დაამსხვრევინა გამოჩენილ ადამიანთა ძეგლები. ღმერთების ქანდაკებებს თავს აცლიდა და საკუთარ თავს ადგამდა.

კალიგულა დაუზოგავი მფლანგველი იყო. ხელმოჭერილი ტიბერიუსის სიმდიდრე თვალის დახამხამებაში გაანიავა. სახელმწიფო ქონებას სულელურ პროექტებში ხარჯავდა. დაცარიელებული ხაზინის შესავსებად პირდაპირ ძარცვაზე გადადიოდა. მდიდარ რომაელებს ავალდებულებდა მემკვიდრეთა შორის იმპერატორიც დაესახელებინათ. შემდეგ ანდერძის ავტორს დამნაშავედ გამოაცხადებდა და მის ქონებას იტაცებდა. რომში რაც იყიდებოდა, ყველაფერში წილს მოითხოვდა. ბეგარას იხდიდნენ მტვირთავი მუშები და მეძავებიც. მისი სიხარბე იქამდე მივიდა, რომ პალატინუმზე, მდიდრულ სასახლეში მოაწყო ლუპანარი, მოაგროვა ამორალური ყოფაქცევის ქალები. სპეციალური მსახურები მკაცრად აღნუსხავდნენ შემოსავალს.



კალიგულას არაადამიანურ ქმედებათა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ერთი ამაზრზენი ფაქტი. მოახსენეს, რომ ამფითეატრში გამომწყვდეულ მხეცებს შემოაკლდათ საკვები, საქონლის ხორცი ძვირი იყო. იმპერატორმა ბრძანება გასცა, მხეცები გამოეკვებათ საპყრობილეში მყოფი ადამიანების ხორცით. იმას არავინ განიკითხავდა ვინ იყო დამნაშავე და ვინ არა.

კალიგულა განუკითხავად ღვრიდა სისხლს. 38 წელს პრეტორიანული გვარდიის პრეფექტი აიძულა თავი მოეკლა. იმავე წელს სიკვდილით დასაჯა შვილად აყვანილი ტიბერიუსი გემელი. სისხლის წყურვილი იქამდე მივიდა, რომ ნატრობდა, ნეტავი რომაელ ხალხს ერთი თავი ჰქონდეს, რომ ერთი დარტყმით დაემთავრო მისი არსებობაო. შეშლილობა და ბოროტება გადახლართული ჰქონდა ერთმანეთში, მხოლოდ ცუდზე ფიქრობდა. სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ მის დროს არ ხდებოდა კატასტროფები, შიმშილობა, შავი ჭირი. სურდა უკვდავება დაემკვიდრებინა რაიმე დიდი უბედურებით. იმპერატორი ამცირებდა და ქედმაღლურად ექცეოდა კონსულებს, ხოლო სენატისადმი მისი უპატივცემულობა იქამდე მივიდა, რომ თავისი ცხენის ინციტატის სენატორად დასმაც კი სურდა.

კალიგულა გატაცებული იყო გლადიატორთა ბრძოლებითა და თეატრალური სანახაობებით. სიამოვნებას გვრიდა მხეცებისა და გლადიატორების ბრძოლები. სა-

ოცრად მშიშარა იყო, მაგრამ ამფითეატრის არენაზე გაბედულად გამოდიოდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ არაფერი დაუშავდებოდა. მის მთავარ გასართობს წარმოადგენდა სიმღერა და ცეკვა.

კალიგულა ამაყობდა, რომ შეუდარებელი მშენებელი იყო. ამ ხაზით ბევრიც გაკეთდა, მაგრამ გაწეული შრომა ძირითადად მის ახირებულობას უნდა მიეწეროს, ვიდრე გონივრულ მოქმედებას. მშენებლობისადმი იმპერატორის მიდგომის შესანიშნავ დადასტურებას წარმოადგენდა ყოველგვარ პრაქტიკულ დანიშნულებას მოკლებული ხიდი პუტეოლსა და კუნძულ ბაიას შორის. ხიდის სიგრძე ოთხ კილომეტრს აღწევდა. იმპერატორის ბრძანებით, ხმელთაშუა ზღვაში სატვირთო გემები შეკრიბეს, ორ რიგად ჩაამწკრივეს, გადააჭედეს ფიცრები, დააყარეს მიწა და ჩვეულებრივი სახმელეთო გზის მსგავსად შეუერთეს განაპირო ზოლს. ეს უსარგებლო ხიდი კალიგულამ საზეიმოდ გახსნა და ორი დღე დადიოდა ამალასთან ერთად, ხან ცხენით, ხან ეტლით. შედეგი ის იყო, რომ ხიდმა მწყობრიდან გამოიყვანა რომაული ფლოტის დიდი ნაწილი.

კალიგულას განსაკუთრებით უყვარდა კაპანიის სანაპირო. უფრო მიმზიდველი რომ გაეხადა, აწყობდა პორტიკებს, გასართობ პალატებს, ალამაზებდა ვენახებითა და ბაღებით. თავისი შემოქმედებით გალაღებული იმპერატორი, მდიდრულად მორთული გალერებით დაცურავდა სანაპიროს გასწვრივ და ერთობოდა. კალიგულას აღმშენებლობით პოლიტიკაში არ დომინირებდა საღი აზრი. არაფრის მომტანი იყო მის მიერ აგებული კაშხლები. გაჰყავდა გზები, კლდეებსა და მთებში ჭრიდა გადასასვლელებს, რომელთაც უმნიშვნელო პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდათ.

სისხლის მოყვარულ კალიგულას ომისადმი მიდრეკილება არ ახასიათებდა. ბუნებით მშიშარას, მაინც გაუჩნდა ამბიცია თავისი ღვთიური სახელისათვის ძლევამოსილი მხედართმთავრის სახელიც შეემატებინა. თავის გამოჩენის ასპარეზად გერმანია შეარჩია. ლაშქრობა უჩვეულოდ დაიწყო. გზაზე, რომელზედაც არმიას უნდა გაევლო, ადგილობრივი მოსახლეობა დაავალდებულეს დაებავათ და მოერწყოთ, რომ იმპერატორი მტვერს არ შეეწუხებინა. პირველი დღიდანვე გამოიკვეთა კალიგულას სრული უსუსურობა. ყველანი ხვდებოდნენ, რომ ეს იყო უნიჭოდ დადგმული სპექტაკლი, რომელშიც ყველა მონაწილეს როლი ბოლომდე უნდა ეთამაშა. უზარმაზარი არმია „გმირულად“ მიიკვლევდა გზას. მტერი არ ჩანდა. სახელის მოხვეჭის სურვილით ანთებულმა კალიგულამ საოცრად პრიმიტიული გეგმა შეადგინა. დაცვაში მყოფ გერმანელებს უბრძანა დაწინაურებულიყვნენ, მდინარე გადაელახათ და ხმაური აეტეხათ, თითქოს მტერი ახლოვდებოდა. დაქირავებულმა გერმანელებმა დავალება შეასრულეს. სიგნალზე არმია დაიძრა. პრეტორიანული გვარდიით გარშემორტყმული კალიგულა „ბრძოლაში“ ჩაება. ვიწრო ხეობაში გავლისას მან ყური მოკრა ლეგიონერების ლაპარაკს: მტერი რომ დაგვესხას, მუსრს გაგვავლებსო. გმირობის გვირგვინის მაძიებელმა კლაიგულამ ეს სიტყვები რომ გაიგონა, შეშინებულმა ცხენი შემოაბრუნა და გამოიქცა. ხეობა ისე იყო გაჭედილი, რომ მოძრაობა შეუძლებელი გახდა. მეომრებმა პანიკაში ჩავარდნილი ხელში აიყვანეს, თავზე გადაიტარეს და „სამშვიდობოს“ გაიყვანეს. შეშინებული იმპერატორი ძლივს დაამშვიდეს. ასეთი მეომრული სულით იყო დაჯილდოებული რომის იმპერიის ერთპიროვნული მპყრობელი და უპირველესი ჯალათი.

არმია უკან გამობრუნდა. ლაშქრობა გერმანიაში დამთავრდა ისე, რომ მცირე შეტაკებაც არ მომხდარა. ამის მიუხედავად, აუცილებელი იყო კომედიის ფინალის დაგვირგვინება. გამარჯვების აღსანიშნავად უნდა გამართულიყო გრანდიოზული ტრიუმფი. მაგრამ არ ჰყავდათ მისი დამამშვენებელი პერსონაჟები, ტყვეები. კალიგულას არეულმა გონებამ თითქოს იპოვა გამოსავალი. შეარჩიეს რომის არმიის შემადგენლობაში მყოფი კარგი გარეგნობის გალი მეომრები, რომელთაც უბრძანეს მოეშვათ წვერი და შეეღებათ თმები, რათა გერმანელებს დამსგავსებოდნენ. ამგვარად „გადაცმულ ტყვეებს“ უნდა გაელამაზებინათ „გერმანელებზე გამარჯვების“ აღსანიშნავი ზეიმი. ყველაფერი გეგმის მიხედვით მომზადდა, მაგრამ რომში შექმნილმა სიტუაციამ ტრიუმფის გამართვის სამარცხვინო ცერემონიალი ჩაშალა, იმპერატორი ქალაქში ოვაციით შემოვიდა.

კალიგულა მოკლებული იყო სახელმწიფოს მართვის ყოველგვარ უნარს. მისთვის უცხო იყო და არც უცდია ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში გარკვევა. მისი გონებრივი ჰორიზონტი მხოლოდ ბოროტ საქმეთა ჩადენით შემოიფარგლებოდა.

ანტიკური ავტორების ერთსულოვანი მტკიცებით, კალიგულა, გაუზვიადებლად იყო ადამიანების საწამებლად მოვლენილი მხეცი.

ოთხი წელი და ათი თვე (37 წლის მარტიდან 41 წლის 24 იანვრამდეძ რომში ბოროტება ზეიმობდა. იდევნებოდა სინათლე და მის ადგილს იკავებდა სიბნელე. კანონმა და სამართლიანობამ არსებობა შეწყვიტა. კალიგულას არაადამიანური ქმედებანი სტიქიურ უბედურებას უთანაბრდებოდა, რომელიც წალეკვას უქადდა მსოფლიო იმპერიის სახელმწიფოებრივ წესრიგს, კულტურას, სულიერებას და საერთოდ ყოველივე ფასეულს.

ოთხი წელი და ათი თვე ითმენდა რომი ექიდნას ნაშიერის ნებივრობას, მაგრამ ბოროტებაზე შეგუება შეუძლებელი გახდა. საბოლოო სიტყვა თქვა იმპერატორის გარემოცვამ. პრეტორიანული გვარდიის მაღალი ჩინოსნის კასიუს ხერეის მეთაურობით მოწყობილმა შეთქმულებამ, 41 წლის 24 იანვარს, საძულველი ურჩხული სიცოცხლეს გამოასალმა.

> კალიგულა მოკლებული იყო სახელმწიფოს მართვის ყოველგვარ უნარს. მისთვის უცხო იყო და არც უცდია ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში გარკვევა. მისი გონებრივი ჰორიზონტი მხოლოდ ბოროტ საქმეთა ჩადენით შემოიფარგლებოდა.



გრანი ქავთარია

## ◎ სიჭაბუკე და ლექსი ერთია



**შორენა თამაზაშვილმა კახის რაიონის სოფელ კახისთავის №1 ქართული საშუალო სკოლა დაამთავრა, შემდეგ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1 წელი მუშაობდა ჰერეთში ქართულის მასწავლებლად. დაოჯახების შემდეგ ცხოვრობს თბილისში.**

**წერს ლექსებს, ჩანახატებს, ცხოვრობს საკუთარი კუთხის სიყვარულითა და ნოსტალგიით. ეს განცდა მის ლექსებში მძლავრად იგრძნობა. წაიკითხეთ და თავად დარწმუნდებით, რა არის ახალგაზრდა ჰერელი პოეტისთვის სამშობლო: „როცა მიწის ბელტი გშია ტირილამდე, და სამშობლო გენატრება ტკივილამდე!...“**

**შორენა თამაზაშვილის ლექსებში სამშობლოს ნამდვილ განცდას და პოეტური სილამაზის სხივს იპოვით!**

**თამარ შაიშმელაშვილი**

# „პაპაჩემის დარდი მოსდებია ხანჯალს...“

## შორენა თამაზაშვილი

### მაინც ჩემია

ჩემი ბავშვობა დარჩა იქ, სადაც
მიუწვდომელი დიდი მთებია,
მე დღესაც მახსოვს შუბლდაღარული,
თმაშევერცხლილი, ტკბილი ბებია.
ის მოთიბული ბალახიც მახსოვს,
სამყურას სუნი ცელს შერჩენია,
მე იქ აღარ ვარ, მაგრამ ის წყალი,
ის მთა, მინდორი ისევ ჩემია.
ჩემი კლდეები, ვაზი, მტევნები,
დღესაც, ვით მაშინ, ისევ მხვდებიან,
იქ ცაც სულ სხვაა, ხასხასა, მშვიდი,
ჯერ არნახული, ლურჯი ფერია.
ჩემი ბავშვობა დარჩა იქ, სადაც
მიუწვდომელი, დიდი მთებია,
მე დღესაც მახსოვს შუბლდაღარული —
ლოცვას მითვლიდა ტკბილი ბებია.

### ჰერეთს

აქ, ამ მხარეში არ გამქრალა სული ქართული,
აქ ისტორია ტკივილია, სევდა — დარდული,
ისევ ღიაა ტაძრის კარი, ზარი კვლავ ზარობს,
აქ ნანგრევებშიც მატიანე ჰქვია ყველა ლოდს.
სამაროვანი, იდუმალი დარდის კივილი,
თან საამაყო, თან წარსულის დიდი ტკივილი.
ისევ ჩუხჩუხებს ქვევრში ღვინო ალადასტურის,
ისევ წყაროსთან მხვდება მზერა ანცი, მაცდური,
ისევ ხმას გვაძლევს საამურად ლაღი ფანდური,
აქ არ მომკვდარა — არც მოკვდება
სული ქართული.
ისევ მღერიან „იავნანას“, „ურმულს“ „წინწყაროს“,
ისევ გალობენ საგალობელს ღვთის სადიდებლად,
ისევ სწავლობენ „აი ია“-ს იაკობისას,
ისევ ატანენ ასულს მზითვში „ვეფხისტყაოსანს“.
ისევ გვარობენ, სახელობენ თამარ ქალებით,
ისევ დავითი, ცოტნე, ვაჟა-ხანჯალ-ფარები,
ისევ ამაყად დგანან ცასთან კლდენი სალები,
ჰერი კვლავ ჰერობს — გაუთენდეს
იქნებ დარები.
ისევ არწივთა ნავარდობა ლეგა ღრეებში,
ჯიხვთა სილაღე, სითამამე მედგარ კლდეებში,
ისევ ვენახი — პაპის ხელით დარგულ-ნაფერი,
ჰერთა მოდგმაა, ქართულია ეს ყველაფერი.
ისევ ავყურებ ქლიავის ხეს — ქუდზე ჩამოყრილს,
მეფე ერეკლეს ბილიკებზე ავლილ-ჩამოვლილს,
იმ ჰერთა ლაშქარს, ავბედ მტერთან
ბრძოლაგამოვლილს..
და ისტორიას მუჭ ქლიავში ერთად თავმოყრილს...

### ჩემი წილი

ცოტა სიმწვანეს ვპარავ ხეებს,
თვალებში ვიტევ,
ხარბად ვისუნთქავ ჩემს წილ ჰაერს
ცივი მთებიდან,
ხელებში ვიმწყვდევ ერთ მუჭ მიწას,
მიწას მშობლიურს,
სითბოს და სიცხეს ერთად ვიღებ
რიყის ქვებიდან.
ვსვამ წყაროს ცივ წყალს —
ჩემი წილი აქაც მწყურია,
ვიპარავ ბალახს,
გადათიბულს ჩემი ზვრებიდან,
ქვევრიდან წვეთი ღვინო მიმაქვს,
დოქებში ვასხამ,
სურნელი მტევნის თავბრუს მახვევს,
ჩუმად ვთვრები და....
ბილიკებს მივდევ ღობე-ღობე,
ვითვლი ვარსკვლავებს,
მთვარეს ვდარაჯობ,
სინათლე მსურს დღეს ცის კიდიდან,
გვირილებს ვყნოსავ,
ერთ თეთრ ფურცელს კაბაზე ვქარგავ,
წვრილ კენჭებს ვისვრი მდინარეში
ჩემი ხიდიდან.
ჩემს წილ მზეს ვითხოვ,
ერთი სხივი აქაც ჩემია,
მომეცით ფთილა გაზერილი
თეთრი ღრუბლიდან,
წვიმის თქეშის დროს,
ერთ წვეთ წვიმას ცრემლებში ვირევ,
ჩემს წილ ოფლს ვიწმენდ
დაცვარული გლეხის შუბლიდან.
ნუთუ ბევრია — მუჭა მიწა, ცივი ჰაერი,
ერთი მზის სხივი,
თეთრი ფთილა — დიდი ღრუბლიდან,
ცოტა სიმწვანე ხეებიდან,
ღვინო და წყალი,
მე იმას ვითხოვ, რაც ამოვთქვი
ახლა გულიდან.

### მონატრება

ჩემი სოფლის თოვლი როგორ მომენატრა,
ჩემი სოფლის ზვრებზე დაწოლილი ბინდი,
მომენატრა დილა ნაადრევი მარტის,
თავის გულთან მიხმობს გაკვირტული შინდი...
ჩემი სოფლის ღამე როგორ მომენატრა,
მომენატრა სუნთქვა აქოჩრილი ყანის,
მომენატრა ჩემი, შენი, ჩვენი სახლი,
ხმა ჩამესმის ახლაც ბებას ტკბილი ნანის..
ჩემი სოფლის დილა როგორ მომენატრა,
წითელ გარიჟრაჟზე მოქანავე ნისლი,
როგორ მომენატრა  სამყურებში წოლა,
ჩემი საქანელა ჩემს თუთასთან მიცდის...
ჩემი სოფლის სუნი როგორ მომენატრა,
მთებზე, ზვრებზე, გზებზე გაწოლილი ბინდი,
მენატრება — ახლაც.. ხვალაც... ზეგაც... მერეც...
თავის გულთან მიხმობს და კეკლუცობს შინდი.

### მამული

როცა ცას და მიწას ერთად
გულში იტევ,
როცა სიზმრად ზღაპრებს ხედავ
ეზო-კარის,
როცა სევდა არ გასვენებს,
სულს გიკაწრავს,
როცა იცი, შენი არის
და არც არის.
როცა თვალებს ეპარება
დაღლა ცრემლად,
როცა გულში ბზარი ჩნდება
საზღვარივით,
როცა მამულს გედავება
უცხო ხელი —
დარდი ყელში გეჩხირება
მაძღარივით;
როცა შენს მზეს გეცილება
სხვისი ჩრდილი,
როცა მიწის ბელტი გშია
ტირილამდე,
როცა ძარღვი სისხლის კივილს
ვეღარ იტევს —
და სამშობლო გენატრება
ტკივილამდე!...

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# „დარწმუნდნენ, რომ სააკაშვილი ცრუობს“

## ჯონ მაკკეინმა თბილისში ქართული ოპოზიციის ლიდერების დათვალიერება მოაწყო

საქართველოში ერთდროულად ორი დელეგაცია ჩავიდა – ამერიკელი სენატორებისა ჯონ მაკკეინის ხელმძღვანელობით და ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი. თუ სენატორებმა არჩიეს, ჯერ ოპოზიციას შეხვედროდნენ, მეორემ უპირატესობა პრეზიდენტ სააკაშვილთან ურთიერთობას მიანიჭა. ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ ამერიკელები უკვე აშკარად ეძებენ კაცს, რომელსაც შეეძლება შეცვალოს სააკაშვილი ქვეყნის სათავეში.

როგორც ამერიკელმა სენატორმა ჯონ მაკკეინმა ქართული ოპოზიციის ლიდერთან, მილიარდერ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ აღიარა, მან მოისმინა, რომ მილიარდერმა „გაწყვიტა ყოველგვარი კავშირი რუსეთთან, რომ სურს საქართველო იყოს თავისუფალი, დემოკრატიული, ნატოს წევრი“. „ჩვენ კარგად გვესმის ეს სიტყვები, არჩევანს კი თავად საქართველოს მოქალაქეები გააკეთებენ“, – თქვა სენატორმა.

მაკკეინმა ამავე დროს გაიხსენა საქართველოს ჩრდილოელი მეზობელიც, განაცხადა, რომ „არაბულმა გაზაფხულმა“ უკვე მიაღწია რუსეთამდე“. „რუსეთის მოქალაქეები გამოთქვამენ სურვილს ჰქონდეთ მეტი თავისუფლება, – განაცხადა მან. – მათ ექნებათ სურვილი ჰყავდეთ ნაკლებად კორუმპირებული მთავრობა, ვიდრე ახლანდელია“.

როგორც ადრე გაზეთი „ვზგლიადი“ იტყობინებოდა, ამერიკელი სენატორების ჯგუფი ჯონ მაკკეინის ხელმძღვანელობით ხუთშაბათს შეხვდა ბიძინა ივანიშვილს, ოპოზიციურ მოძრაობა „ქართული ოცნების“ ლიდერს. შეხვედრის შემდეგ მან განაცხადა, რომ ეს ჯგუფი „დარწმუნდა, რომ მიხეილ სააკაშვილი ცრუობს ჩემს შესახებ“.

მისი სიტყვებით, სტუმრებს აინტერესებდათ ძალთა განაწილება პარლამენტის არჩევნების წინ, რომელიც გათვალისწინებულია 1 ოქტომბრისთვის, მათ შორის, „ქართული ოცნების“ შანსებიც. „მათ ისედაც იცოდნენ რეალიების შესახებ საქართველოში, მაგრამ ამჟამად ეს უკეთ დაინახეს“, – განაცხადა ოპოზიციის ლიდერმა.

ივანიშვილის სიტყვებით, სენატორებს განსაკუთრებით აინტერესებდათ მისი „რუსული აქტივები“, რის შესახებაც მუდამ საუბრობს სააკაშვილი. „მე ვუთხარი ჯონ მაკკეინს, რომ წინა დღით მოსკოვში ჩემი უკანასკნელი ბიზნესაქტივი შეიძინა ერთ-ერთმა ცნობილმა ამერიკულმა ფონდმა, – თქვა მილიარდერმა. – საკითხი შეეხება სასოფლო-სამეურნეო სექტორს. და სენატორებმა ძალიან კარგად დაინახეს, რომ სიცრუეა, როდესაც სააკაშვილი მე კრემლის აგენტს მიწოდებს“.

ოპოზიციონერებმა სენატორებს უამბეს იმის შესახებ, რომ წინასაარჩევნო კამპანიას აწარმოებენ არათანაბარ ბრძოლაში. „მაგრამ ჩვენ პროცესებს ბოლომდე მივიყვანთ და დემოკრატიულად შევცვლით ხელისუფლებას“, – განაცხადა მილიარდერმა.

შეხვედრა „ოცნების“ ცენტრალურ ოფისში გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ, აგრეთვე, თბილისში წინა დღით ჩამოსული ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ელჩი რიჩარდ ნორლანდი, აგრეთვე ივანიშვილის თანამებრძოლები ოპოზიციური კოალიციიდან ირაკლი ალასანია და დავით უსუფაშვილი.

სხვათა შორის, სენატორებმა გამოიჩინეს დაბალანსებული მიდგომა და შეხვდნენ კიდევ ერთი ოპოზიციური ძალის – ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერებს გიორგი თარგამაძესა და გიორგი ახვლედიანს.

### სიგნალები ოკეანის გაღმიდან

მაკკეინი ცნობილია, როგორც სააკაშვილის ძველი მეგობარი, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ისიც კი განაცხადა, რომ „თავი ქართველად მიაჩნია“. მაგრამ უკანასკნელ პერიოდში ოპოზიციონერები ცდილობენ, შეუცვალონ ამერიკელ პოლიტიკოსებს, მათ შორის მაკკეინსაც, აზრი სააკაშვილის შესახებ.

მაგალითად, ივნისში გაეროში ყოფილმა მუდმივმა წარმომადგენელმა, ოპოზიციური მოძრაობის „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნების შემდეგ განაცხადა, რომ ვაშინგტონი უგზავნის სააკაშვილს სიგნალებს იმის შესახებ, რომ დადგა დრო წავიდეს.

ოპოზიციასთან საუბრის შემდეგ სტუმრებმა გამართეს სადილი ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანთან გიორგი ბოკერიასთან. მოგვიანებით, ხუთშაბათს, სენატორები უნდა მიელო სააკაშვილსაც.

### ეძებენ „ახალ კაცს“

დამოუკიდებელმა ქართველმა პოლიტოლოგმა რამაზ საყვარელიძემ ჩვენს გაზეთთან საუბარში განაცხადა, რომ „დასკვნების გაკეთება ნაადრევია, მაგრამ ცხადია, რომ ამერიკული ელიტა უკანასკნელ პერიოდში ღებულობს უფრო მეტ სხვადასხვა ინფორმაციას სიტუაციის შესახებ საქართველოში და, რაც მთავარია, დეტალურად აანალიზებს მას“.

„ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჯონ მაკკეინის განცხადებაში ძნელია, ეძებო ქვეტექსტი. მაგრამ ყურადღება მივაქციე მისი კოლეგის ჯოზეფ ლიბერმანის რეაქციას. ჩემი აზრით, მას უკვე აღარ აქვს ძველი ენთუზიაზმი სააკაშვილის პარტიასთან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დაკავშირებით“, – თქვა მან.

პოლიტოლოგმა, აგრეთვე, აღნიშნა, რომ ახალი ელჩი ნორლანდი ჯერ კიდევ სასენატო მოსმენებზე თავისი დამტკიცების დროს საქართველოში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით საკმაოდ კრიტიკული იყო.

კარნეგის ცენტრის მოსკოვის ექსპერტს ალექსეი მალაშენკოს მიაჩნია, რომ, ვინც უნდა მოვიდეს ხელისუფლების სათავეში სააკაშვილის შემდეგ, იმედი, რომ შეიცვლება ურთიერთობა მოსკოვსა და თბილისს შორის, არ არსებობს, ვინაიდან ეს ურთიერთობანი „გაიყინა 2008 წლის ომის შემდეგ“. მაკკეინის ვიზიტს პოლიტოლოგი ხსნის იმით, რომ სააკაშვილის პოპულარობის დაკარგვის გამო ამერიკელები ეძებენ „რომელიღაც ახალ კაცს“.

ექსპერტი აღნიშნავს, რომ ამერიკელებმა თავად შექმნეს ასეთი სიტუაცია, ვინაიდან „თავის დროზე აღმერთებდნენ სააკაშვილს“. „ამჟამად ისინი ცდილობენ ეს ამბავი შეიყვანონ მეტ-ნაკლებად ნორმალურ კალაპოტში“, – მიაჩნია ექსპერტს.

### ბუქარესტის დაპირება ძალაში რჩება

თბილისში იმავე დღეს ჩამოვიდა ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენიც – ერთდღიანი ვიზიტით. ის უკვე იყო საქართველოში 2010 წლის ოქტომბერში და 2011 წლის ნოემბერში. როდესაც მიხეილ სააკაშვილთან ერთად გამოდიოდა, მან მომავალ პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნებს უწოდა ტესტი ქართული დემოკრატიისთვის. „მომავალი თქვენს ხელთაა. მაგრამ თქვენ უნდა იცოდეთ, რომ გყავთ მეგობარი ნატოს სახით“, – განაცხადა ფოგ რასმუსენმა.

ამ დროს რასმუსენმა შენიშნა, რომ „პარლამენტის არჩევნების მონიტორინგი არ არის ნატოს ფუნქცია, მაგრამ ალიანსი ყურადღებით ადევნებს თვალყურს სიტუაციას საქართველოში და მნიშვნელოვნად მიიჩნევს ქვეყანაში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გამართვას, თანაბარი პირობების მინიჭებას ყველა კანდიდატისთვის“.

შემდეგ გენერალურმა მდივანმა შეგვახსენა, რომ ნატოს ბუქარესტის სამიტზე 2008 წელს გადაწყდა, რომ საქართველო გახდება ალიანსის წევრი, ამ ცოტახნისწინანდელ სამიტზე კი ჩიკაგოში ეს პოზიცია დაადასტურეს.

როგორც გაზეთი „ვზგლიადი“ იტყობინებოდა, შარშან ნოემბერში ვლადიკავკაზში სამხედროების წინაშე გამოსვლის დროს რუსეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა: ჩვენ რომ 2008 წელს ავკანკალებულიყავით, ახლა იქნებოდა უკვე სხვა გეოპოლიტიკური განლაგება. და მთელი რიგი ქვეყნები, რომლების ხელოვნურად შეყვანასაც ცდილობდნენ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში, ისინი უკვე იქ იქნებოდნენ.

თბილისში ეს სიტყვები ახსნეს, როგორც მოსკოვის აღიარება იმაში, რომ ომი 2008 წლის აგვისტოში გამოწვეული იყო ნატოში საქართველოს შესვლის დაუშვებლობით.

რასმუსენი დაგვთანხმდა კომენტარი გაეკეთებინა ამ მტკიცებისთვის. „თუ ამ კონფლიქტის მიზანი ეს იყო, მაშინ ეს მიზანი ჩავარდა, ვინაიდან არც ერთ მესამე სახელმწიფოს არა აქვს უფლება ჩაერიოს ნატოს გადაწყვეტილებაში. ჩვენ ერთმნიშვნელოვნად განვაცხადეთ, რომ ვაწარმოებთ ღია კარების პოლიტიკას და იმედი გვაქვს, რომ რუსეთი პატივს სცემს ამ ჩვენს გადაწყვეტილებას“, – განაცხადა რასმუსენმა.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე

**აშშ-ში ერთ-ერთ ცერემონიაზე აჩვენეს პუტინის მამხილებელი ვიდეო**

პრესტიჟული მუსიკალური პრემიის წარდგენის ცერემონიაზე ქალიშვილები, რომლებიც გამოწყობილი იყვნენ ღია სარაფანებში, კოლგოტებსა და ალპინისტების ნიღბებში და პიტალო კლდეზე ფართხალებდნენ, გაიძახოდნენ ლოზუნგებს პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის წინააღმდეგ და სწვავდნენ მის პორტრეტს.

**ობამამ დაარწმუნა რუსეთი მეგობრობაში, ამავე დროს გაკილა რომნი და მას უწოდა „ნომერ პირველი მტერი“**

რუსეთი „ალ-ქაიდა“ არ არის, შეახსენა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა თავის მეტოქეს არჩევნებში, რომელიც ცნობილია თავისი მკაცრი თავდასხმებით მოსკოვზე. რომნი მსჯელობს როგორც ადამიანი, რომლის აზროვნებაც გაიყინა „ცივი ომის“ პერიოდზე, ხაზგასმით აღნიშნა ობამამ, და ეს სიტყვები დემოკრატიული პარტიის პლატფორმაშიც კი შევიდა. ამავე დროს სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის „განმტკიცების“ შესახებ და შეაქო პუტინი.



**ქეიტ მიდლტონი და ოლიმპიადა დაგვეხმარნენ მოგვეძებნა ყველაზე მოდური ქალაქი მსოფლიოში. მოსკოვი აუდსაიდერებში ჩაცურდა**

მსოფლიო ფეშენ-დედაქალაქების ხუთეულში ლონდონის შემდეგ შევიდნენ ნიუ-იორკი, პარიზი და ერთბაშად ესპანეთის ორი ქალაქი – მადრიდი და ბარსელონა. მოსკოვი რეიტინგის მხოლოდ 35-ე სტრიქონზე აღმოჩნდა, მან გასული წლიდან 17 პოზიცია დაკარგა. ამ დროს „მოდურის“ დებიუტანტი გახდა სანქტ-პეტერბურგი, რომელმაც 51-ე ადგილი დაიკავა.



**გადაწყვიტეს პირველი ადამიანი, რომელმაც მთვარეზე დადგა ფეხი, ოკეანეში დაასაფლაონ**

„ნასაში“ მოსვლამდე ნილ არმსტრონგი მსახურობდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტში. ნათესავები უკვე დაემშვიდობნენ მიცვალებულს, გადაუხადეს თავშეკავებული ცერემონია ცინცინატში, სადაც ის უკანასკნელ პერიოდში ცხოვრობდა. ღია პანაშვიდი კი გაიმართება 13 სექტემბერს ვაშინგტონის ეროვნულ ტაძარში.



◉ კითხული კაცის აზრი

# სოფლად რომ შემოგვრჩეს სოფელი

**ამჟამინდად ყველაფერი, რაც მეტ-ნაკლებად ხარისხიანად და წარმატებით კეთდება, რაღაც წინასწარი გეგმის მიხედვით სრულდება (თავად ქვეყნიერებაც ხომ მამაზეციერმა გარკვეული გეგმით შექმნა!), ამიტომაც რა გასაკვირია, რომ წინასაარჩევნოდ პოლიტიკურმა ძალებმა თავიანთ სამომავლო მოქმედებათა გეგმები მკაფიოდ ჩამოაყალიბონ და ამომრჩევლამდე მაქსიმალურად გასაგები ფორმით მიიტანონ. ამ მხრივ ქართულ პოლიტიკურ სავასპარეზოზე მდგომარეობა სხვა ქვეყნებში მიღებული პრაქტიკისგან რამდენადმე განსხვავებულია. მოქალაქეებს უკვე აღარ უკვირთ, რომ ხალხის, პოტენციურ ამომრჩეველთა მასა ნაკლებ ყურადღებას აქცევს პოლიტიკური პარტიების პროგრამებს და წინასწარ არჩევანს მხოლოდ ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის ლიდერთა მიმართ წარმოშობილი ნდობის საფუძველზე აკეთებს. რადგან საქმე ასეა, ვფიქრობ, რომ მათთვის, ვისაც მიზეზთა გამო სხვადასხვა პოლიტიკური ძალის წინასაარჩევნო პროგრამების დეტალებში წვდომის შესაძლებლობა არ ექნება, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს საარჩევნო პროგრამებთან დაკავშირებით კომპეტენტური აზრის გაცნობა, რისთვისაც რედაქციაში 1991-92 წლებში საქართველოს სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ანზორ ჭლიკაძე მოვიწვიეთ.**

**პირველი კითხვა კოალიცია „ქართული ოცნების" წინასაარჩევნო პროგრამის დეტალებსა და მოხდენილ შთაბეჭდილებას ეხებოდა.**

— რა თქმა უნდა, სწორი არჩევნისთვის მნიშვნელოვანია საარჩევნო პროგრამებში გარკვევა, მაგრამ იმ სავალალო ვითარებაში, როცა დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე არა გვაქვს ერთი მაგალითიც კი არჩევნებში გამარჯვებული პარტიების მიერ წინასაარჩევნო პროგრამის მეტ-ნაკლები შესრულებისა, ბუნებრივია, რომ პრიორიტეტი ამომრჩევლის ნდობის მაძიებელი პოლიტიკური გუნდის სხვა თვისებებს ენიჭება. ჩემთვისაც, როგორც ერთ-ერთი ამომრჩევლისთვის, პროგრამის შინაარსთან ერთად უმნიშვნელოვანესია, შევძლო შევაფასო საარჩევნო პროგრამის შემოქმედი პოლიტიკური ჯგუფის წინაისტორია, რათა დავინახო პასუხისმგებლობის, კორუფციასთან ბრძოლის და დემოკრატიული პროცესების გაძლოლის პოლიტიკური ნება და რესურსი. იმედია, დამეთანხმებით, რომ ამ მინიმალური მახასიათებლების გარეშე აზრი არა აქვს რაიმე პროგრამაზე, რა კარგიც არ უნდა იყოს ის, მსჯელობა. საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია პოლიტიკური ძალების საარჩევნო სიები, ამდენად გარკვეული შეფასებების გაკეთება, მეტ-ნაკლები ალბათობით, შესაძლებელია. კარგი იქნება, თუ ამ პროცესში საინფორმაციო საშუალებებიც დაგვეხმარებიან.

რაც შეეხება „ქართული ოცნების" საარჩევნო პროგრამას, მის დეტალურ დახასიათებას, ალბათ, თავად პროგრამაზე მეტი მოცულობა დასჭირდება, ამიტომ მოკლედ გეტყვით: **პროგრამის ავტორებს, ჩემი აზრით, ღრმად აქვთ გაანალიზებული ქვეყნის განვითარების ხელშემშლელი უსერიოზულესი პრობლემები და მოფიქრებული აქვთ მათი გადაწყვეტის რეალური საშუალებები.**

ხაზი უნდა გავუსვა იმასაც, რომ ჩემთვისაც და, იმედია, მრავალი თანამემამულისთვისაც, უმნიშვნელოვანესია ის, თუ რამდენად შეესაბამება ესა თუ ის საარჩევნო პროგრამა სასურველ სახელმწიფოზე საკუთარ წარმოდგენას.

**— თავად როგორ გესახებათ ასეთი სახელმწიფო?**

— თუ პათეტიკურ ტონად არ ჩამითვლით, დემოკრატიული ათენის ცნობილი ლიდერის — პერიკლეს მოსაზრებები, უახლოესი წარსულისა და დემოკრატიის ხარისხის უკმარისობით განპირობებული მიუღებელი გამოვლინებები, რომელთა მოწმენიც ყველანი ვართ, მაფიქრებინებს, რომ ბუნებრივი და თანმიმდევრული პროცესების შედეგად სასურველია ისეთი სახელმწიფოსკენ ვიაროთ, რომელიც როგორც ორიენტირი უნდა იყოს:

**1. დემოკრატიის გარანტი და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების ხელშემწყობი;**

**2. ხალხის ნების გამომხატველი, საჯაროობის გარანტი და ხალხის წინაშე ანგარიშვალდებული;**

**3. სიტყვის თავისუფლების დამცველი, განსხვავებული აზრის პატივისმცემელი და გამთვალისწინებელი, საჯარო გადაწყვეტილებათა მიღებისას მოქალაქეთა მონაწილეობის ქმედითი მექანიზმების გამომყენებელი;**

**4. ადამიანის უფლებების დაცვის გარანტი;**

**5. კანონების სამართლიანობის უზრუნველმყოფელი და მათი მტკიცე დამცველი;**

**6. პიროვნული, თვითმმართველი ერთეულების, საზოგადოებრივი ჯგუფებისა და სახელმწიფოს ინტერესების ჰარმონიაში მომყვანი;**

**7. თითოეული მოქალაქის სოციალური დაცვის გარანტი;**

**8. ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის უზრუნველმყოფელი და გაუმართლებელი მილიტარიზაციისგან თავის შემკავებელი;**

**9. ხარისხიანი განათლების მიღებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველმყოფელი;**

**10. მოქალაქეთა თავისუფალი დროის საზოგადოებისათვის სასურველი შინაარსით შევსებაზე მზრუნველი;**

**11. რწმენის, პატრიოტიზმის, კეთილშობილების, ზნეობის, ღირსების, მეგობრობისა და სიქველის წამხალისებელი;**

**12. კულტურულ მემკვიდრეობაზე და კულტურაზე მზრუნველი;**

**13. სამეცნიერო, სახელოვნებო და სპორტული სკოლების განვითარების ხელშემწყობი;**

**14. წარსულის ობიექტურად შემფასებელი და დამფასებელი;**

**15. მოქალაქეთა პროფესიული და ინტელექტუალური პოტენციალის საზოგადოებისა და სახელმწიფო ინტერესებისთვის რაციონალურად გამომყენებელი, პროფესიონალი სახელმწიფო მოხელეების მომზადების ხელშემწყობი;**

**16. კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის გარანტი, კერძო სამეწარმეო ინიციატივის ხელშემწყობი, კანონიერ კერძო სამეწარმეო საქმიანობაში ჩარევის არდამშვები და ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველმყოფელი;**

**17. ქონებრივი მდგომარეობის განსხვავებულობის გამო მოქალაქეთა შორის არათანასწორი ფაქტობრივი უფლებრივი მდგომარეობის წარმოშობის არდამშვები;**

**18. გახსნილი უცხოელთათვის მიღწევების ურთიერთგასაცნობად, ცოდნის მისაღებად და უცხოური და ადგილობრივი პოტენციალის ჰარმონიული გამოყენების ხელშემწყობი;**

**19. კეთილგანწყობისა და პატივისცემის გამოვლენით მოძმე ერების, მეზობელი სახელმწიფოებისა და ხალხთა მეგობრობის მომპოვებელი;**

**20. მსოფლიო თანამეგობრობაში ორგანული ფუნქციის მომპოვებელი და შემსრულებელი;**

**21. სიცრუის, სიძულვილისა და ძალადობის არდამშვები.**



## საზოგადოებისაკენ, რომელიც იქნება:

**1. მის მიერვე მიღებული კანონების პატივისმცემელი და მათი დარღვევების არდამშვები;**

**2. დაუწერელი, ან მორალური კანონების მტკიცედ დამცველი და მათი დამრღვევის საზოგადოებრივი გამკიცხველი;**

**3. პოლიტიკური მომზადების იმ დონის მქონე, რომ შეძლოს არჩევანის გაკეთებისას იმოქმედოს სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად;**

**4. განურჩეველი ადამიანის ქონებრივი მდგომარეობისადმი და უპირატესობის მიმცემი მისი სიქველისა და ცხოვრებისეული გამოცდილებისადმი.**

## ასევე პიროვნებისაკენ, რომელიც იქნება:

**1. სხვადასხვა მოქალაქეთა უფლებათა პატივისმცემელი;**

**2. დადებითი პიროვნული თვისებების მატარებელი;**

**3. სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეების მკეთებელი;**

**4. პროფესიონალი გარკვეულ სფეროში და ამით პიროვნული დამოუკიდებლობის მომპოვებელი;**

**5. საკუთარი აზრის მქონე და გამომთქმელი;**

**6. განათლებული, სულიერად მდიდარი, სამართლიანი, საკუთარი და სხვისი ღირსების პატივისმცემელი, კანონმორჩილი და სიმდიდრის პოზიტიური მოღვაწეობისათვის გამომყენებელი;**

**7. მამაცი და მზადმყოფი აუცილებლობის შემთხვევაში დაიცვას საკუთარი ოჯახი, მეგობარი, საზოგადოება და ქვეყანა.**

კაცმა რომ მკითხოს, ეს საკითხები ეროვნული თანხმობის საგანი შეიძლება იყოს.

ალბათ, იფიქრებთ, რომ ამით აბსტრაქტული სახელმწიფო, საზოგადოება და პიროვნება მაქვს წარმოდგენილი, მაგრამ, თუ, მიუხედავად საქართველოს სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი წყვეტისა და ჩვენს მიწა-წყალზე ცივილიზაციის მტრების თარეშისა, წინა ორ საუკუნეში ჯერ ცარიზმისა და შემდგომ ბოლშევიზმის წნეხის ქვეშ არსებობისა, **საქართველომ შეძლო საუკუნეები გამოევლო და დღემდე მოეტანა ენა, მამული, სარწმუნოება, თვითმყოფადი კულტურა, ენდემური ჯიშების ვაზი, ხეხილი, მარცვლეული, ცხვარი და ა. შ.; ოჯახის, მეგობრების, ქვეყნისთვის თავდადების, სიკეთის ქმნის, სტუმარ-მასპინძლობის და ა. შ. ტრადიციები, ურთულეს პირობებში წარმოეშვა ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფერო, მსოფლიო მნიშვნელობის პიროვნებები და მსოფლიოში სახელგანთქმული თანამედროვე სამეცნიერო, სახელოვნებო და სპორტული სკოლები შეექმნა.**

არ უნდა იყოს დაუჯერებელი ის, რომ საქართველოს ეროვნულ წიაღში შექმნილ პირობებში შეუძლია ზემოაღნიშნული ტიპის სახელმწიფოს აშენების საფუძვლის ჩაყრა. ასეთი სახელმწიფოს საფუძვლის შექმნას არ ესაჭიროება ადამიანებზე ზეწოლა, განსაკუთრებული ფინანსური სახსრები და, შესაბამისად, გადასახადების გაზრდა ან საგარეო ვალების აღება. საკმარისია პასუხისმგებლობის მქონე, ქვეყნისთვის დემოკრატიის სასიცოცხლო მნიშვნელობის განმთვითცნობიერებელი, შესაბამისი პოლიტიკური ნების მქონე და კორუფციისაგან თავისუფალი მთავრობა და პარლამენტი. მართალია, ყოველივე სათქმელად იოლია, მაგრამ ახლა მაინც, ამდენი იმედგაცრუების შემდეგ, ქვეყნის განვითარებისათვის უაღრესად მნიშვნელოვან ეტაპზე, ხომ უნდა შევაფასოთ არსებული გამოცდილება, ინფორმაცია და დავფიქრდეთ სერიოზულად, ვის და რისთვის ვირჩევთ?!.

როგორც უკვე აღვნიშე, პირადად ჩემთვის „ქართული ოცნების" პროგრამა იმის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია, თუ რამდენად შეესაბამება ესა თუ ის პროგრამა საკუთარ წარმოდგენას სახელმწიფოზე. **ამ მხრივ „ქართული ოცნების" პროგრამის ნაწილის — „დემოკრატია და სასამართლო" განხორციელება, ჩემი აზრით, საფუძველს ჩაუყრის ზემოაღნიშნული შინაარსის სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.**

სხვასთან ერთად მოსაწონია პროგრამის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებების ნაწილიც, კერძოდ, იმით, რომ უარია ნათქვამი საბაზრო ფუნდამენტალიზმზე, ლიბერტარიანულ და სინგაპურიზაციის მოდელებზე და ეკონომიკის ძირითად ორიენტირად, მთლიანი და შიდა პროდუქტის ნაცვლად, აღებულია კეთილდღეობის მაჩვენებელი, ხოლო ცენტრალური ზრუნვის ობიექტად — ოჯახი და პიროვნება.

**— თავის დროზე თქვენ დაკავებული იყავით სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემებით და ამიტომ საინტერესოა თქვენი აზრი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" დეკლარირებულ ოთხი წლის განმავლობაში. სოფლის მეურნეობის ოთხი მილიარდი ლარით დაფინანსებაზე და „ქართული ოცნების" მიერ გაცხადებულ იგივე დანიშნულების მილიარდიან ფონდზე.**

— ბუნებრივია, სოფლის მეურნეობაში სოლიდური ფინანსური რესურსების შედინება მისასალმებელია, თუმცა არის ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოება — რა მიზანს ისახავს ყოველივე: მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდას თუ, ამასთან ერთად, სოფლის მცხოვრებთა კეთილდღეობის ამაღლებასა და ქართული სოფლის კულტურული ფენომენის მოვლასაც. წინასწარი შთაბეჭდილებებით, მოგეხსენებათ, შიშს დიდი თვალები აქვსო, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ გამოცხადებულ სოფლის მეურნეობის განვითარების 500 შესაქმნელი კომპანიის ყოველწლიურად მილიარდიანი დაფინანსებისა (ანუ ერთ კომპანიაზე საშუალოდ წელიწადში 2 მილიონიძ და ანტიმონოპოლიური მოქმედებების არარსებობის გათვალისწინებით, **მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოცულობებისა და რენტაბელობის ზრდაზე ორიენტაციისას შეიძლება მივიღოთ სოფლის მეურნეობის სრული მონოპოლიზაცია.** სხვათა შორის, ამის ნიშნები ახლაც არის — ცალკეულ სოფლებში სახნავ-სათესისა და საძოვრების დიდი ფართობების ერთი სუბიექტის ხელში მოხვედრით სოფლის მოსახლეობის საარსებო გარემოს ფაქტობრივად გაქრობა. თუ ასე მოხდა, ღმერთმა დაგვიფაროს, სოფლად მცხოვრები მოსახლეობა, ნაცვლად იმისა, რომ გახდეს ოჯახური, წვრილი ან მსხვილი ფერმერული მეურნეობის ძირითადი მონაწილე, როგორც ეს „ქართული ოცნების" პროგრამაშია გათვალისწინებული, კიდევ უფრო გაღატაკდება და გადაიქცევა იაფად დასაქირავებელი მუშახელის წყაროდ. სოფლად მონოპოლისტური კომპანიის საქმიანობის პირობებში სოფლის მოსახლეობას აღარ ექნება საკუთარი მეურნეობის არც დაფინანსების და არც მატერიალური უზრუნველყოფის პერსპექტივა, აღარ დარჩება სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ იაფად გაყიდოს საკუთარი შრომა, ბოლოს კი შეელიოს საკუთარ სავარგულებს, ქვეყანა კი — სოფელს.

**საუბარს უძღვებოდა**
**ოთარ ტურაბელიძე**

ჭადრაკი

# ასეთ ჩავარდნას არ ველოდით



**სტამბოლში დასასრულს უახლოვდება მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა, რომელშიც ჩვენი გუნდები მაინცდამაინც სახარბიელოდ ვერ ასპარეზობენ. ქალთა ნაკრებმა მე-9 ტურში აზერბაიჯანელებთან დათმო შეხვედრა 1,5:2,5 (ბელა ხოტენაშვილი — ზეინაბ მამედიაროვა 0:1. დაზავდნენ ლელა ჯავახიშვილი — გულნარ მამადოვა, ნინო ხურციძე — ნარგიზ უმადოვა, ნინო ბაციაშვილი — ხაიალა ისკანდაროვა) და შეჯიბრების დამთავრებამდე 2 ტურით ადრე 11 ქულით 24 ადგილზე გადაინაცვლა.** ჩვენი გუნდისგან განსხვავებით, პოზიციები განიმტკიცეს ლიდერებმა: ჩინელებმა ფრანგებს სძლიეს 3:1 (ჰოუ იფანი — ელმირა სკრიპჩენკო 1:0, ჟაო სიუ სოფი მილიე 1:0, ცზიუ ვენძიუნი — ნინო მაისურაძე 0,5:0,5, ჰუან ქიანი — სილვია კოლასი 0,5:0,5ძ, მოაგროვეს 16 ქულა და ერთპიროვნულად დამკვიდრდნენ გათამაშების ცხრილის პირველ საფეხურზე. ქულით ნაკლები აქვთ რუსებს, რომლებმაც ინდოელებს აჯობეს 3:1 (ტატიანა კოსინცევა — ჰარიკა დრონავალი 0,5:0,5, ვალენტინა გუნინა — ეიშა კარავადე 1:0, ნადეჟდა კოსინცევა — ტანია სადჩევი 0,5:0,5, ალექსანდრა კოსტენიუკი — სვამინათან სოუმია 1:0ძ. ცხრა ტურის შემდეგ უკრაინა, ყაზახეთი, პოლონეთი და სომხეთი 14-14 ქულით მესამე-მეექვსე ადგილებს იყოფენ.

სატურნირო მდგომარეობის საგრძნობლად გაუმჯობესება შეძლო ინდოელებთან მოთამაშე საქართველოს ვაჟთა ნაკრებს. პირველ-მეორე დაფებზე მიხეილ მჭედლიშვილისა და კრიშნას საშიკირანის, მერაბ გაგუნაშვილისა და პენტალა ჰარიკრიშნას პარტიები ყაიმით დამთავრდა. ლევან ფანცულაიამ ნარაიანან გოპალი დაამარცხა. თორნიკე სანიკიძესაც აჯობით გუფთასთან მოსაგები პარტია ჰქონდა, მაგრამ შუა თამაშისთვის ეს უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაქრა, უფრო მეტიც — ენდშპილში უარესი პოზიცია მიიღო და 105-ე სვლაზე დამარცხდა კიდეც. საბოლოოდ ფრე — 2:2. ცხრა ტურის შემდეგ ჩვენს ბიჭებს 12 ქულით მე-18 ადგილი უკავიათ. მეწინავეთა ჯგუფში კი 15-15 ქულით ერთბაშად ოთხმა გუნდმა მოიყარა თავი — ჩინეთმა, რუსეთმა, ამერიკამ და სომხეთმა. მე-9 ტურში ლიდერთა შეხვედრები ასე დამთავრდა: რუსეთი — აშშ 1,5:2,5, ჩინეთი — ფილიპინები 3,5:0,5, პოლონეთი — აზერბაიჯანი 2:2, სომხეთი — გერმანია 2,5:1,5, უკრაინა — საფრანგეთი 3:1.

**ლექსო ცინცაძე**

ფეხბურთი

# მესამეობაც საქმეა



**საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა წარმატებით შეასრულა პროგრამა-მინიმუმი და ევრო — 2013-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე მესამე ადგილი დაიკავა.**

ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ალექსანდრე ჩივაძის შეგირდებმა შესარჩევი ტურნირის ბოლო მატჩში ვაკის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ჯგუფის აუტსაიდერ ესტონეთს 2:1 სძლიეს (ქალამიძე, პარუნაშვილი). სხვათა შორის, ქართველმა ახალგაზრდებმა ამავე მეტოქეს პირველი წრის შეხვედრაც, რომელიც ბალტიისპირეთში გაიმართა, ანალოგიური შედეგით მოუგეს.

გამარჯვების მიუხედავად ჩვენი გუნდის თამაშში უამრავი ნაკლი შეინიშნებოდა, განსაკუთრებით — დაცვაში, რაც სავსებით ლოგიკურია: „ჯვაროსანთა" სახელოვანი თავკაცი ხომ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალი ფორმაციის ნაკრებს აშენებს, რომელმაც მომავალ საკვალიფიკაციო რაუნდში უნდა გაისროლოს, უამრავ დებუტანტს კი შესათამაშებლად დრო სჭირდება.

თუმცა, არის დადებითი მომენტიც: ნიკა ქალამიძემ ისე შთამბეჭდავად იბურთავა, რომ თემურ ქეცბაიამ უმალ ეროვნულ ნაკრებში მიიწვია.

**ვიტალი ჯაფარიძე**

კალათბურთი

# დამშვიდდით: ალბათ, მაინც გავალთ!

**გუშინდელ ნომერში უკვე გაუწყეთ, რომ ბოსნიასთან საშინაო მარცხის მიუხედავად, საქართველოს ეროვნული ნაკრები „ევრო — 2013"-ის ფინალურ ეტაპზე გასვლის რეალურ შანსს ინარჩუნებს. საამისოდ იგორ კოკოშკოვის შეგირდებმა კონკრეტული ამოცანა უნდა გადაჭრან: ან დღეს უნდა გაიმარჯვონ ლატვიაში (რიგიდან პირდაპირი ტელერეპორტაჟი საზოგადოებრივ მაუწყებელზე 18 საათზე დაიწყება), ანაც, რაც უფრო რეალურია, 11 სექტემბერს საკვალიფიკაციო რაუნდის ფინიშზე თბილისში ჰოლანდიელებთან უნდა აიღონ რევანში პირველი წრის მატჩის სენსაციურად დათმობისთვის.**



თუმცა, მსჯელობა ზოგადი რომ არ გამოგვივიდეს, მოდით, თავდაპირველად ჯგუფებში შექმნილ სატურნირო ვითარებას გავეცნოთ.

**„ა" ჯგუფი** (თამაშობს 6 გუნდი, დანარჩენებში 5-5ძ: მონტენეგრო — 8, სერბეთი, ისრაელი — 5-5, ესტონეთი — 4, სლოვაკეთი, ისლანდია — 1-1 მოგება.

**„ბ" ჯგუფი.** გერმანია — 6, აზერბაიჯანი — 4, ბულგარეთი, შვედეთი — 3-3, ლუქსემბურგი — 0 მოგება.

**„გ" ჯგუფი.** ხორვატეთი — 6, უკრაინა — 5, ავსტრია — 3, უნგრეთი — 2, კვიპროსი — 0 მოგება.

**„დ" ჯგუფი.** ბოსნია — 5, საქართველო, ლატვია — 4-4, ჰოლანდია — 2, რუმინეთი — 1 მოგება.

**„ე" ჯგუფი.** პოლონეთი, ფინეთი — 5-5, შვეიცარია, ბელგია — 3-3, ალბანეთი — 0 მოგება.

**„ვ" ჯგუფი.** იტალია — 7, ჩეხეთი — 5, თურქეთი — 3, ბელარუსი — 1, პორტუგალია — 0 მოგება.

მოგეხსენებათ, გაისად სლოვენიაში ასპარეზობის უფლებას პირველ-მეორე ადგილებზე გასულებთან ერთად 4 საუკეთესო მესამეადგილოსანიც მოიპოვებს, ამიტომ მეტი სიცხადისთვის „ჯვაროსანთა" კონკურენტების წაგებათა რაოდენობას გადავხედოთ: ესტონეთი, ბულგარეთი, ავსტრია, უნგრეთი, შვეიცარია — 4-4, სერბეთი, ისრაელი, აზერბაიჯანი, შვედეთი, ბელგია, თურქეთი — 3-3 წაგება (ჩვენ — მხოლოდ 2ძ.

ასე რომ, დებულების გათვალისწინებით, ერთ-ერთი ბრძოლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ბალკანური ფორუმის საგზურს გავინაღდებთ, რადგან, მინიმუმ, ორი ჯგუფის მესამეადგილოსანს გავუსწრებთ, სულ კი, როგორც იცით, ევროპაში 6 ჯგუფია.

მოკლედ, მოთმინებითა ჩვენითა გავინაღდოთ საგზური ჩვენი.

**გიორგი შოთაძე**

დარბაზბურთი

# იბერიის გაბრწყინება




**საქართველოს ჩემპიონმა „იბერია სთარმა" ბრწყინვალედ დაძლია უეფას თასის გათამაშების პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი და ვადამდე მოიპოვა ელიტ-რაუნდში თამაშის უფლება.**

აღსანიშნავია, რომ სლოვენიამდე როგორც ბრაზილიელი ლეგიონერებით გაძლიერებულმა თბილისელებმა, ისე მათმა მეტოქემ სასტარტო შეხვედრაში პარიზის „სპორტინგმა", მომქანცველი მგზავრობის შემდეგ ჩააღწიეს, რაც ავიაკომპანია „ლიუფთჰანზას" თანამშრომელთა გაფიცვამ გამოიწვია, თუმცა მათ მაინც საინტერესო სანახაობა შესთავაზეს იქაურ აუდიტორიას, რომელშიც ჩვენმა კლუბმა იმძლავრა — 3:2 (აუგუსტო — 2, ბეტინიოძ.

**„ლიტია" (სლოვენია) — „ათინა — 90" (საბერძნეთი) 7:2.**

მეორე ტურში მასპინძლები მძაფრ ბრძოლაში დაუზავდნენ ფრანგებს — 3:3, იბერიელებმა კი ელადელებიც დაჯაბნეს — 3:1 და, როგორც უკვე გაუწყეთ, პრესტიჟული ჯილდოსთვის განაგრძობენ ასპარეზობას.

**მანუჩარ გიორგაძე**

პარალიმპიზმი

# ჩვენებურის „ოქრო" — უკრაინის ყულაბაში

**ლონდონის 2012 წლის პარალიმპიურ თამაშებში, როგორც გაუწყეთ, ორმა ქართველმა იასპარეზა წოლჭიმსა და ცურვაში. მესამე ჩვენებური ოლიმპიურ ტატამზე გამოჩნდა, ოღონდ უკრაინის სახელით: დავით ხორავა გალელია. 1991 წელს იქ საომარი მოქმედებებისას მისი ოჯახი უკრაინაში გადასახლდა. პატარაობისას ჰეპატიტი შეჰყრია და მხედველობა დაქვეითებია. როგორც თავად აღნიშნავს, ექიმების რჩევით და ბიძამისის დახმარებით მე-2 ჯგუფის ინვალიდს ჯერ სპეციფიკური ვარჯიშები დაუწყია, მერე ტატამზე აღმოჩნდა...**

ბრიტანეთის დედაქალაქში ხორავამ 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში იასპარეზა. სამი შეხვედრა მოიგო იპონით: ჯერ ფინელ იანი კალუნკის და ესპანელ დავით გარსია დელ ვალეს აჯობა, ფინალში კი ჩინელი ჩაო ჰუ დაჯაბნა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ასე რომ, უკრაინის ოლიმპიურ დელეგაციას ქართველმა მოჭიდავემ პირველი ოქროს მედალი მოუტანა.

**ლაშა დიდია**



დედაქალაქი

# სახლი, რომელშიც ქვეყნის სამართალი დაეტევა

ცოტა ხანში თბილისში მნიშვნელოვანი სიახლე გაჩნდება: მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მალე იუსტიციის სახლის რამდენიმე შემინული კორპუსის მშენებლობა დასრულდება.

იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ფეხით მოსიარულეთათვის სამი მეტრის სიგანის გადასასვლელი ღია ხიდი კეთდება, რომლითაც მოქალაქეები და სტუმრები მტკვრისა და სანაპიროს ქუჩების კუთხეში მოხვდებიან, რომლის მახლობლად აგრარული ბაზრის შესასვლელია.

გარდა ამ სიახლისა რომელიც, სიმართლე გითხრათ, თავისი მასშტაბით, ცოტა არ იყოს, მნიშვნელოვან დაბნეულობასაც იწვევს – განა ეს ჩვეულებრივი ამბავია, ერთი სახლი რამდენიმე კორპუსისგან შედგებოდეს? მასში ხომ „მთელი ქვეყნის სამართალი“ დაეტევა! – იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი სამანქანო ესტაკადაც გაკეთდა, რომელიც მნიშვნელოვნად გაადადგილებს სანაპიროდან ავლაბრის ან საპირისპირო მიმართულებით ტრანსპორტით გადაადგილებას.







# ძველი პარკის ახალი სიცოცხლე

საქართველოში ძნელი მისაგნები უნდა იყოს კაცი, რომელსაც სამამულო კინემატოგრაფის უდავოდ ნომერ პირველი შედევრის „ქეთო და კოტეს“ ერთ-ერთი საუკეთესო სცენა არ ახსოვდეს, ყარაჩოღელები მუხამბაზს რომ უმღერიან ტურფა ქალიშვილს აივანთან.

დარწმუნებული ვარ, ბევრმა ჩვენმა თანამოქალაქემ უთუოდ იცის, რომ ეს სცენა მოსწავლე ახალგაზრდობის ბაღშია გადაღებული, სადაც ამჟამად მნიშვნელოვანი სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს. მეფის ნაცვლის ყოფილი სასახლის ბაღი თბილისში ერთ-ერთი უძველესია, სადაც მრავალი უნიკალური ჯიშის ხე ხარობს. ადრე ბაღში შადრევანიც იყო, რომლის რეკონსტრუქცია ამჟამად ტარდება. საუკუნოვანი პარკი ცოტა ხანში დეკორატიული ბუჩქებითა და ყვავილნარებით დამშვენდება, ძველთაძველ ბილიკებს კი ლამაზი ქვაფენილი დაამშვენებს, რომელთა გასწვრივ სხვადასხვა ფერის სკამები ჩამწკრივდება, ღამ-ღამობით კი მოხდენილი ლამპიონები აინთება.









უნდა ითქვას, რომ პარკში შესასვლელად გაყოლებაზე რკინის ღობის ნაწილი მოშალეს და ამდენად ახლო მომავალში თბილისელებს კიდევ ერთი დასასვენებელი ადგილი გაუჩნდებათ.

**ნინო ალექსანდრია**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა მწუხარებას გამოთქვამენ ექიმი-პედიატრის

**ზაირა პირტახია-ცანავას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს და ახლობლებს.



---

თენგიზ კალანდაძე ოჯახით მწუხარებას გამოთქვამს

**ზაირა პირტახია-ცანავას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის მეუღლეს ავთანდილ ცანავას, შვილებს და სხვა ახლობლებს.

---

გიორგი დუნდუა ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება ღირსეული ქალბატონის

**ზაირა პირტახია-ცანავას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მისი ოჯახის წევრებს და სხვა ჭირისუფალთ.

---

მარინა კანდელაკი მწუხარებას გამოხატავს კეთილშობილი ქალბატონის

**ზაირა პირტახია-ცანავას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მისი ოჯახის წევრებს და სხვა ახლობლებს.

---

ბაკურ გულუა თანაგრძნობას უცხადებს გრამიტონ კვარაცხელიას, თემურ, ავთანდილ კვარაცხელიებს ძვირფასი მეუღლის და დედის

**ვალიდა მახარაძის**

გარდაცვალების გამო.

---

სვეტლანა, შალვა მგალობლიშვილები ოჯახით თანაუგრძნობენ ბატონ ოთარ ცინცაძეს დის ქალბატონი

**ნუნუს**

გარდაცვალების გამო.

---

შალვა მგალობლიშვილი, ჟორა საღარაძე, დიმა ჯაიანი, ჯემალ მებუკე, ზამირ მაჩიტიძე მწუხარებით იუწყებიან მეგობრის

**მურთაზ ჩიქობავას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ინფორმაცია

## ფასდაკლებაც ამას ჰქვია?!.

**თბილისის მერიის ახალი ინიციატივა 5 დღის განმავლობაში ვებგვერდზე განთავსდება და თუ ხმათა საჭირო რაოდენობას (15 000) მოაგროვებს, თბილისის მერია მას უახლოეს მომავალში განახორციელებს.**

როგორც „ინტერპრესნიუსს“ დედაქალაქის მერიიდან აცნობეს, ყველა იმ მგზავრს, რომელიც საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის ღირებულების გადახდისას ელექტრონული ბარათით – მეტროთი სარგებლობს, შესაძლებლობა ეძლევა, მუნიციპალურ ტრანსპორტში პირველი მგზავრობის საფასური 50 თეთრი გადაიხადოს და საათნახევრის განმავლობაში მეტროსა და ავტობუსში სხვა მარშრუტზე გადაჯდომისას უფასოდ იმგზავროს. სიახლე ყველა იმ მგზავრისთვის არის მნიშვნელოვანი, ვინც საზოგადოებრივი ტრანსპორტით რეგულარულად სარგებლობს.

მერიის ინფორმაციით, მგზავრობის ელექტრონული ბარათით თბილისში ამ ეტაპზე მილიონზე მეტი ადამიანი სარგებლობს.

## „თბილისი მოლში“ ჰიპერმარკეტი „კარფური“ იხსნება

**სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლში“ რამდენიმე დღეში ჰიპერმარკეტი „კარფური“ გაიხსნება.**

ჰიპერმარკეტი „კარფური“ სავაჭრო ცენტრის 2 სართულზეა განთავსებული და დამხმარე სათავსოების გარეშე სავაჭრო სივრცე 9000 კვადრატული მეტრია.

როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას „მაფ კარფურის“ რეგიონალურმა დირექტორმა ჟან ლუი ქლერიმ განაცხადა, „კარფური“ მსოფლიოში ნომერ მეორე, ხოლო ევროპაში ნომერ პირველ ჰიპერმარკეტად ითვლება.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## დაიჯესტი

# პომპეის ნანგრევები, ვატიკანის მუზეუმები და სხვანი

**იტალიელებმა კვლევა ჩაატარეს, რომლის მიზანი ევროპის ღირსშესანიშნაობათა ფულადი შეფასება იყო.**

უცნაური იდეა იტალიის პატარა ქალაქ მონცას სავაჭრო პალატაში წარმოიშვა: აქ გადაწყვიტეს იმის დადგენა, ევროპის რომელი ღირსშესანიშნაობა ღირს ყველაზე ძვირი. თუ რაში დასჭირდათ იტალიელებს ამ რეიტინგის შედგენა, უცნობია, მაგრამ მის შექმნას ისინი სრული სერიოზულობით მიუდგნენ.



**მკვლევარები ოცზე მეტ პარამეტრს სწავლობდნენ მათ შორის, კერძოდ, ყოველწლიურად ამა თუ იმ ძეგლის სანახავად ჩასულ ტურისტთა ოდენობას, სუვენირების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს, პოსტეკონომიკურ ეფექტს, ანუ იმას, თუ რამდენად იზრდება ამა თუ იმ ისტორიულ-კულტურული ძეგლის სანახავად ჩასულ ტურისტთა მიერ დანარჩენი ადგილობრივი საქონლის გაყიდვების მაჩვენებელი და ა. შ.**

უნდა ითქვას, რომ ისტორიულ ნანგრევთა ჰიტ-აღლუმი ერთობ უცნაური გამოდგა. ერთმანეთის გვერდი-გვერდ სრულიად განსხვავებული ისტორიული ობიექტები მოხვდნენ. თანაც გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ ნუსხაშია მხოლოდ ერთი პარიზული ღირსშესანიშნაობა და უამრავი რომაული. თანაც, ამ რეიტინგზე დაყრდნობით ძნელია მეტ-ნაკლები დამაჯერებლობით დავასკვნათ, რომელი ქალაქია ევროპაში ყველაზე მდიდარი ისტორიული თვალსაზრისით.

გთავაზობთ იტალიელ მკვლევართა მიერ შედგენილ ევროპის ყველაზე ძვირადღირებულ ღირსშესანიშნაობათა ნუსხას.

**1. ეიფელის კოშკი (პარიზი) — 434 მილიარდი ევრო;**
**2. რომის კოლიზეუმი — 91 მილიარდი ევრო:**
**3. წმიდა ოჯახის ტაძარი (ბარსელონა) — 90 მილიარდი ევრო.**
**4. ვატიკანის მუზეუმები — 90 მილიარდი ევრო.**
**5. მილანის საყდარი — 82 მილიარდი ევრო.**
**6. ტრევის შადრევანი (რომი) — 78 მილიარდი ევრო.**
**7. ბიგ-ბენი (ლონდონი) — 70 მილიარდი ევრო.**
**8. ქალაქ პომპეის ნანგრევები — 20 მილიარდი ევრო.**

**თამარ გოგიაშვილი**

---

## ღვთაებისთვის თვალის გაუსწორებლად

**ინდური ლეგენდით, ღმერთი შივა მოკვდავ ადამიანებს ღვთაებრივი გამოცანის გაცდობას კოსმიური ცეკვით დაპირდა, რომელსაც მათ ბრძენი მქსოვლის მეშვეობით მიაწვდიდა. ოღონდ პირობა დაადებინა, რომ ბრძენს მოცეკვავე ღმერთისთვის არ უნდა შეეხედა და ცეკვა ქსოვილზე მხოლოდ მისი სიტყვებით უნდა გადაეტანა...**

მას შემდეგ, რაც დაზგაზე გადაჭიმულ ქსოვილზე მოცეკვავე ღმერთის სამოცდაათი პოზა გადაიტანა, მქსოველმა უნებლიეთ ზევით აიხედა და განრისხებულმა შივამ ცეკვა შეწყვიტა. მიუხედავად იმისა, შივას პოზები ტილოებზე, შემდეგ ტაძრების ქანდაკებებზე გადაიტანეს, მერე კი კაცთა მოდგმის ცეკვებში გააცოცხლეს. ასე წარმოიშვა ინდური ცეკვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება ბჰარატნატიამი.



სამწუხაროდ, ის, რაც ზოგისთვის ღვთაებრივი საწყისია, ზოგიერთი მკრეხელობად აღიქვამს. ინდოეთის მთელ სუბკონტინენტზე დღესდღეობით ათიათასობით ნახატსა და ქანდაკებას ნახავთ, რომელიც უცხოელ დამპყრობელთა მიერაა დასახიჩრებული, რომლებიც ინდოეთის უძველეს კულტურას ბარბაროსობად მიიჩნევდნენ. ინგლისელმა კოლონიზატორებმა აკრძალეს მოცეკვავე ღმერთის გამოსახულებები, რისი ინიციატორები მაღალი საზოგადოების ქალბატონები იყვნენ. კოსმოსის კაბარესგან გარჩევის უნარს მოკლებულმა მატრაკვეცა ქალებმა ინდოელ მოცეკვავე ქალთა წინააღმდეგ ბრძოლის ლიგა შექმნეს და ინდური ცეკვების აკრძალვას ცდილობდნენ. მაგრამ ქსოვილს ვერანაირად ვერ აკრძალავდნენ, ამიტომაც იყო, რომ ინდოეთის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, როცა მისი კულტურა იძულებული იყო უკან დაეხია და იატაკქვეშეთში გადაენაცვლა, მის ტრადიციებს ისევ ინდოელი ფეიქრები ინახავდნენ.

## ღორი ბურჟუა




**პეტრე ალექსეევის სახელობის მემარცხენე ორგანიზაციის „წინააღმდეგობის მოძრაობის" აქტივისტებმა სანკტ-პეტერბურგის ცენტრში რუსეთში პირველი ბურჟუაზიის ძეგლი დადგეს. მანეჟის მოედანზე დადგმული თვითკმაყოფილად მომღიმარე ღორის მოოქროვილი თავი გრანიტის პოსტმენტზე აღმართეს, რომელსაც წარწერა „ბურჟუა" ამშვენებს.**

როგორც ჩანს, წინააღმდეგობის მოძრაობის გოგო-ბიჭებს ძალაუფლება რომ მისცენ, 1917 წელს მარტო რუსეთში კი არა, მთელ მსოფლიოში დააბრუნებდნენ.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

## ჟურნალ—ი გაზეთებიდან



### „ცენტრპოინტისგან" დაზარალებულები აქციებს მართავენ

სამშენებლო კომპანია „დექსუსის" თაღლითობის სამოქმედო არეალი თბილისის მასშტაბებს გასცდა, კომპანიის მიერ მოტყუებული მოქალაქეები, როგორც აღმოჩნდა, აჭარაშიც საკმაოდ არიან. ბათუმში, მთავრობის სახლთან გაიმართ აქცია, სადაც კომპანიის მიერ დაზარალებული 65 ოჯახი მერიისა და კომპანია „დექსუსისგან" კუთვნილ ბინებს ითხოვს. მერიაში აცხადებენ, რომ მათ არ ევალებათ ხალხის ბინით უზრუნველყოფა და, ეს, ყოველივე „ცენტრპოინტ ჯგუფის" ვალდებულება იყო.




**„ახალი თაობა"**

### წლეულს უპრეცედენტოდ მცირე ციტრუსი მოიკრიფება

ციტრუსების მოსავალი მინიმუმამდე შემცირდა, მცირე და ამასთანავე, დაბალი ხარისხის ციტრუსი მოვიდა შარშანაც. შარშან ცუდი მოსავალი უამინდობას დაბრალდა, წელს — მცენარეების მეწლეულობას. თუმცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსი ლევან ბოლქვაძე „გვამშვიდებს", რომ აჭარაში 40-45 ათას ტონა ციტრუსს ელოდებიან და, თანაც, ციტრუსების რეალიზაციის პრობლემა მოხსნილიაო.

### რატომ ვერ ხვდებიან დასაქმების სამინისტროს ბაზაში ადამიანები?

„ეს არის საარჩევნო პიარი" — ამბობს აჭარის თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის ხელმძღვანელი ასლან ჭანიძე. იგი ეჭვს ახალი უწყების — დასაქმების სამინისტროს მიმართ გამოთქვამს, რის საფუძველსაც რამდენიმე ფაქტი აძლევს. მაგალითად, რატომ მაინც და მაინც ახლა, წინასაარჩევნო პერიოდში გახდა მთავრობისთვის ქვეყნის უმთავრესი პრობლემა მნიშვნელოვანი? ჭანიძის თქმით, ეს სამინისტრო ბიუჯეტმა უნდა შეიძინოს. გააკეთებს კი იგი იმ საქმეს, რისი მოლოდინიც ხალხს ნაწილობრივ მაინც აქვს?.. აჭარაში, მაგალითად, ეჭვობენ...

**„რეზონანსი"**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში"*
299-62-77; 599 32-85-76.

## ანეკდოტები

— **უკაცრავად,** თქვენ ქართველი ხართ?
— ხელფასით თუ ვიმსჯელებთ, კი.

* * *

— **შეიძლება** ფილმს ბედნიერი დასასრული ჰქონდეს, თუ ბოლოს მთავარი გმირი კვდება?
— შეიძლება, თუ მთავარი გმირი დედამთილია.

* * *

— **ძვირფასო,** რაიმე თბილი სიტყვა მითხარი.
— შენ დაიწვი და დაიბუგე ჯოჯოხეთის ცეცხლში.

* * *

**მიხო** ცოლს ეძახის:
— დედაკაცო! მოდი, დედაშენს მიხედე, ყელში ბანანის კურკა გაეჩხირა.
— რას ამბობ, კაცო, ბანანს კურკა სად აქვს?!
— მე ჩავტენე.



**ქმარი** სამსახურში მიდის და ცოლს ეუბნება:
— პიჯაკი გაასუფთავე?
— გავასუფთავე.
— შარვალი?
— კი, გავასუფთავე.
— ფეხსაცმელი?
— რა, ფეხსაცმელსაც აქვს ჯიბეები?!

* * *

— **რატომ** გაგიჟდა თქვენი ცოლი?
— მთაში ვიყავით, იქ კარგი ექოა. ჩემი ცოლი კი ვერ იტანს როცა ეპასუხებიან.

* * *

— **რატომ** თქვი ჩემზე, კრეტინიაო?
— მიუვარდა ჭიჭიკია ბიჭიკიას.
— აუ, მაპატიე, არ ვიცოდი, თუ მალავდი.

* * *

**ტელეფონი** რეკავს:
— უკაცრავად, ბატონი კოტე სახლშია?
— ჯერ სახლშია, მაგრამ ყვავილები უკვე გაიტანეს.

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24